ახალი წელი გვიხმობს ახალი გამარჯვებებისაკენ!

პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ მაღლა აღმართა მშვიდობისათვის ბრძოლის დროშა. ახალ წელს რომ ვიწყებთ, ჩვენ ვეუბნებით ხალხებსა და სახელმწიფოებს: დაე მშვიდობა! [illegible] ლება და ბედნიერება დედამიწაზე ყველა ადამიანის კუთვნილება გახდეს! დაე, 1962 წელი [illegible] შორის მშვიდობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების წელი გახდეს!

КОММУНИСТЫ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კომუნისტიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საახალწლო მილოცვიდან.

გამოცემის 42-ე წელი. №2 (12210) | ოთხშაბათი, 3 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ავსტრიელი პროფესორის ჰანს ფირინგის კითხვებზე

პატივცემულო ბატონო ტირინგ!

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც მთხოვთ გიპასუხოთ მთელ რიგ შეკითხვებზე, რომლებიც, როგორც მე წარმომიდგენია, გამოხატავენ დასავლეთის ბევრი პროგრესული ადამიანისათვის დამახასიათებელ მისწრაფებას გაიგონ მსოფლიოში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ცვლილებათა არსი და სურვილი, ხელი შეუწყოს ურთიერთგაგების მიღწევას სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მორის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას.

კითხვა. წინასწარმეტყველება, რომ კომუნიზმი საბოლოოდ გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში, რაც არაერთგზის გამოთქვეს თავიანთ სტატიებში სახელმწიფო კომუნისტურმა მოღვაწეებმა, მარტოოდენ ამ სისტემის უპირატესობის ძალაც რწმენის გამოხატულებაა, თუ კომუნიზმის გავრცელება მთელ მსოფლიოში მხოლოდ მისი საბოლოო მიზანია, რომელსაც უთუოდ უნდა მივაღწიოთ?

პასუხი: ბურჟუაზიული პროპაგანდა წინასწარი განხარხვით ნერგავს არასწორ წარმოდგენას კომუნიზმის შესახებ, ცდილობს უნდობლობა დათესოს ამ დიადი მოძღვრებისადმი.

დიახ, ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ სავსებით და საბოლოოდ გაიმარჯვებს კომუნიზმი. ამ რწმენას საფუძვლად უდევს ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნა, რომლებიც ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად, ენგელსმა, ლენინმა, და რომლებსაც იყენებენ ძალა აქვთ, როგორიც ბუნების კანონებს, ან ატომი, რომ ისინი ობიექტურად მოქმედებენ.

ისევე გარდუვალად, როგორც ფეოდალიზმმა მეცვალა მონათმფლობელური წყობილება, ხოლო კაპიტალიზმმა — ფეოდალური, კაპიტალიზმს მეცვლის კომუნიზმი. და ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ გვნდა, არამედ იმიტომ, რომ კომუნისტური წყობილება უზრუნველყოფს მშრომელი ძალების უმაღლეს განვითარებას ყველა სხვა ფორმაციათაგან შედარებით, ყოველი ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, საზოგადოებისა და ყოველი მისი წევრის ნამდვილ დემოკრატიას, სრულ თავისუფლებას. კაპიტალიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უმცირესობის მიერ უმრავლესობის ჩაგვრა, ვერ გაუძლებს ისტორიულ შეჯიბრებას წყობილებათაგან, რომელმაც თავის დროზას დაწერა ყველა ადამიანის ხსნა სოციალური უთანასწორობისაგან, ყველა ფორმის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, ომის საშინელებათაგან, და ამკვიდრებს დედამიწაზე ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას.

„რევოლუცია შეკვეთით როდი ხდება, — ნათქვამია ჩვენი პარტიის პროგრამაში, — იგი არ შეიძლება გარედან მოვახვიოთ თავს ხალხს". როდის და რა გზით გაიმარჯვებს კომუნიზმი ამა თუ იმ ქვეყანაში — ეს დამოკიდებული იქნება თვით ამ ქვეყნის ხალხზე. საბჭოთა კავშირი მტკიცედ იდგა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოზიციებს, თანამიმდევრულად ახორციელებს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

კითხვა: რა დამამტკიცებელი საბუთები შეგიძლიათ მოუყვანოთ კომუნიზმის მოწინააღმდეგეებს იმის დასადასტურებლად, რომ ორი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის წინადადება ითვალისწინებს ორივე სისტემის არსებობის უფლების აღიარებას და რომ, მაშასადამე, თანაარსებობა აგრეთვე მოასწავებს ხანგრძლივ მდგომარეობას, რომელიც დროის განუსაზღვრელად შეიძლება გაგრძელდეს, სანამ ამ ორი სისტემიდან რომელიმე მშვიდობიან შეჯიბრებაში საკუთარი გეოგრაფიული რაიონის შიგნით გაამართლებს თავის თავს და შეესაბამება თავისი მცხოვრებლების სურვილებს?

პასუხი. ფაქტიურად თქვენ სვამთ ორ სხვადასხვა კითხვას — ორი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, და, როგორც თქვენ ამბობთ, ამა თუ იმ საზოგადოებრივი წყობილების „არსებობის უფლების" შესახებ".

მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა მეტად მარტივია. ჩვენს პლანეტაზე ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოები. სოციალიზმის წარმოშობა კანონზომიერი ისტორიული მოვლენა იყო. მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროს არაფერით არ უნდოდა ამის აღიარება და არაერთგზის გამოიყენა ომი, რომ გაანადგურებინა არასასურველი მეზობელი. რით დამთავრდა ასეთი ცდები, ყველამ იცის.

წარსულის სამწუხარო გამოცდილებას და ძალთა ახალ თანაფარდობას საერთაშორისო ასპარეზზე, თითქოს უნდა ეფიქრებინა კაპიტალისტური ლაგერებისათვის არა მარტო სიტყვების წარმოთქმა მშვიდობის შესახებ, არამედ ისიც, რომ შესაბამისად გაიგონ თავიანთი საერთაშორისო პოლიტიკა. ომმა, გამალებულმა შეიარაღებამ, სულ ახალი სამხედრო ბლოკების შეკოწიწებამ როდი უნდა გადაეტანა ორი სისტემის დავა. საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვებს არა ის წყობილება, რომელიც შექმნის მეტი რაოდენობის ნგრევის საშუალებებია და სამხედრო ბაზები, არამედ ის, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უკეთეს ცხოვრებას, ესე იგი უფრო სრულად დაკმაყოფილებს მის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს.

სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებლობაა ჩვენს ეპოქაში. ხალხებსა და სახელმწიფოებს აქვთ მხოლოდ ერთი არჩევანი: ან სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობა და ეკონომიური შეჯიბრება, ან ადამიანთა საყლეტი რაკეტულ-ატომური ომი. სხვა არჩევანი არ არის.

აქვე უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტური ქვეყნები არა ნაკლებ, არამედ უფრო მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული ომის საფრთხის აღმოფხვრით. უპირატესობა მათს მხარეზე როდია. მათ სამუდამოდ დაჰკარგეს იგი.

მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია. იგი გამომდინარეობს თვით ჩვენი სახელმწიფოს ბუნებიდან, რომელშიც არ არიან კლასები და სოციალური ჯგუფები, დაინტერესებული ომით, სხვის სიმდიდრეთა მიტაცებით, სხვა ხალხების დამონებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ მიიღო დიდებული პროგრამა — უახლოეს 20 წელიწადში სსრ კავშირში შეიქმნება თავისი სიძლიერით უმაგალითო მწარმოებელი ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა ადამიანის ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს მსოფლიოში და მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ცხადია, რომ სახელმწიფო, რომელიც გეგმაეს ასე შორს წავიდეს წინ თავისი მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებაში, რომელსაც ეკონომიკის განვითარებაში, რომელსაც მხედველობაში აქვს 20 წლის მანძილზე თავის სახალხო მეურნეობას მოახმაროს 2 ტრილიონი მანეთი, მიზნად ისახავს მშვიდობას, და არა ომს.

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი როდი ნიშნავს მარტოოდენ ომის არარსებობას, დროებითი არამყარი დაზავების მდგომარეობას. იგი ითვალისწინებს მეგობრული ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის შენარჩუნებას ამ სახელმწიფოთა შორის, ითვალისწინებს მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვაგვარი ფორმების დაყარებასა და განვითარებას.

რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად ამისათვის? საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ბევრი კონკრეტული წინადადება, რომელთა მიღება უზრუნველყოფდა მტკიცე მშვიდობის დამყარებას. საბჭოთა წინადადებების განხორციელება მკაცრ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული სრული და საყოველთაო განიარაღება, კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის, გერმანიის სახავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ აღმოფხვრიდა არსებული საერთაშორისო დაძაბულობის ძირითად მიზეზებს, დაანგრევდა ომის მანქანას და საშუალებას მისცემდა ყველა ხალხს მშვიდად მოკიდებოდა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც წინათ, მზად არის გაკეთოს ყველაფერი, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით, ყველა მხარის ინტერესების გთვალისწინების საფუძველზე გადაიჭრას მწვავე საერთაშორისო პრობლემები.

საბჭოთა კავშირი, მტკიცედ დარწმუნებული სოციალისტური წყობილების უპირატესობაში, მშვიდობიან შეჯიბრებას სთავაზობს კაპიტალისტურ ქვეყნებს. ხანგრძლივ, რაიმე განსაზღვრული ვადით შეუზღუდველ მშვიდობიან შეჯიბრებაში ხალხები დარწმუნდებიან, რომ სოციალისტური წყობილება ყველაზე სამართლიანი, ყველაზე პროგრესული წყობილებაა, რომ მას ეკუთვნის მომავალი.

რაც შეეხება ამა თუ იმ საზოგადოებრივი წყობილების „არსებობის უფლებას", ეს უფლება შეიძლება განსაზღვრონ მხოლოდ თვითონ ხალხებმა, იმან, შეესაბამება თუ არა ეს წყობილება ადამიანთა დიდი უმრავლესობის ინტერესებს. ზოგ ვინმეს კაპიტალისტურ ქვეყნებში აკეიატებული აქვს იდეა წაუყენოს პირობები სოციალისტურ ქვეყნებს: ჩვენ მზად ვართ მშვიდობიან თანაარსებობაზე თქვენთან, თუ თქვენ უზრუნველყოფთ კაპიტალიზმის მარადიულ არსებობასო.

ამაზე ჩვენ ეუპასუხებთ: ბატონებო, ჩვენ ვიცავთ მშვიდობას, მოვითხოვთ მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებას. სოციალისტური ქვეყნები არ აპირებენ ჩაერიონ სხვის საქმეებში და ექსპორტის საგნად გადაქციონ რევოლუცია. მაგრამ არავის არა აქვს უფლება სხვა სახელმწიფოებში გაატანოს კონტრრევოლუციაც, ჩაახშოს და დთრგუნოს ხალხები, როცა ისინი ცდილობენ მოიშორონ კაპიტალისტური უღელი და გარდაქმნან თავიანთი ცხოვრება ახალ სამართლიან საწყისებზე.

ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრებთან შეხვედრაზე ავსტრიაში ვიზიტის დროს, 1960 წელს, რომელსაც ყოველთვის დიდი ქმაყოფილებით ვიგონებ, მე ვთქვი, რომ არ შეიძლება სამოთხეში კეტით მივერეკებოდეთ ადამიანს, არ შეიძლება კომუნიზმში მივერეკებოდეთ ადამიანს ომის დახმარებით. როცა ადამიანი შეიგნებს, რომ მხოლოდ კომუნიზმი მიანიჭებს მას ნამდვილად თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას, ის თვითონ მოირბენს. ეს ჩვენი პოზიცია გამომდინარეობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების არსიდან, და არც ერთ პატიოსან ადამიანს დასავლეთში არ უნდა ჰქონდეს რაიმე გაურკვევლობა და ექვი ამ მხრივ, თუ წინასწარი განზრახვით არ ამახინჯებს კომუნისტების მიზნებსა და სოციალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკას.

იმ საკითხზი, თუ ორი არსებული სისტემიდან რომელი — სოციალისტური თუ კაპიტალისტური — „ამორთლებს თავის თავს", არბატრი თვით ხალხია. ამ საკითხს წყვეტს ისტორია და წყვეტს უკვე ახლა სოციალიზმის სასარგებლოდ, რომელსაც ადამიანებისათვის მოაქვს კეთილდღეობა, თავისუფლება და მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

კითხვა. თქვენც იმ აზრისა ხართ თუ არა, დღეს კარლ მარქსი საფლავიდან რომ წამომდგარიყო და საკუთარი თვალით წაეხა, თუ ატომური იარაღის, რაკეტების, ახალი ტექნიკის, წარმოების ავტომატიზაციისა და მიმოსვლის მასობრივ საშოვანთა შედეგად როგორ შეიცვალა ჩვენი საზოგადოება 1848 წელთან შედარებით, ბევრი პუნქტის გამო სხვაგვარად იმსჯელებდა, ვიდრე „კომუნისტურ მანიფესტში"?

პასუხი: მარქსისა და ენგელსის გენიამ საშუალება მისცა მათ განეჭვრიტათ მომავალი, აღმოეჩინათ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონები და განესაზღვრათ კომუნიზმის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები. მათი უდიდესი დამსახურება ის არის, რომ შექმნეს კომუნიზმის მეცნიერული თეორია და ამით დასახეს ერთადერთი სწორი გზა მატერიალური და სულიერი მონობის დამსხვრევისათვის, რომელშიც ბოგინობდნენ ჩაგრული კლასები.

„კომუნისტური მანიფესტის" გამოსვლის შემდეგ განვლილი ას წელზე მეტი ხნის მანძილზე, მსოფლიოში უდიდესი ცვლილებები მოხდა როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ისე საზოგადოების განვითარების დარგში. ახლა მსოფლიო სრულებითაც არ არის ის, რაც იყო მარქსის დროს. წარმოიშვა და წარმატებით ვითარდება სოციალიზმის ახალი საზოგადოებრივი სისტემა, კრახი განიცადა მსოფლიო კოლონიურმა სისტემამ. გარკვეული ცვლილებები განიცადა კაპიტალიზმმაც, რომელიც XX საუკუნის ზღვარზე შეედო განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში. მაგრამ კაპიტალიზმის, როგორც იმ საზოგადოების არსი, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უცვლელი დარჩა როგორც მარქსის დროს, ხოლო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობანი კიდევ უფრო გამწვავდა.

მარქსიზმის მოწინააღმდეგენი ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს მოხდა კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია რაღაც საშუალოდ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. თვით სიტყვას კაპიტალიზმსაც კი ისინი ცვლიან ისეთი გამოთქმებით, როგორიც არის „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო", „სახალხო კაპიტალიზმი", „ეკონომიური ჰუმანიზმი" და სხვ. დიდი ცვლილებები, რომლებიც მოხდა ჩვენს დღეებში მეცნიერებასა და ტექნიკაში, მარქსიზმის მოწინააღმდეგენი ცდილობენ მიაწერონ აყვავებული კაპიტალიზმის ახალი ეპოქის დაწყებას. მაგრამ ლამაზი სიტყვების თამაში ვერ უარყოფს ნათელ ფაქტებს: მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი არ ცვლის და ვერ შეცვლის კაპიტალიზმის როგორც საზოგადოებრივი ფორმაციის არსს. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ვერ აღმოფხვრა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ანტაგონისტური კლასები და კლასობრივი წინააღმდეგობანი. მუშა, რომელმაც ნიჩაბი ექსკავატორით შეცვალა, ახლაც განიცდის სასტიკ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, ეს ექსპლოატაცია კი აბსოლუტურად გარდუვალია კაპიტალიზმის დროს. ასეთია კაპიტალისტური საზოგადოებრივი სისტემის კანონი.

მარქსიზმი ცოცხალი შემოქმედებითი მოძღვრებაა, რომლისთვისაც უცხოა დოგმატიზმი და დრომოჭმული ფორმულები. მარქსის შემდეგ ლენინმა გაამდიდრა მარქსიზმი უმნიშვნელოვანესი ახალი თეორიული დასკვნებით. ჩვენი დროის მთელი გამოცდილება, სოციალისტური თანამეგობრობის წარმოშობა და განვითარება და მისი ძლიერების ზრდა, სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების ფართოდ გავრცელება მთელ მსოფლიოში უცილობლად ადასტურებენ ლენინის იმ სიტყვებს, რომ მარქსის მოძღვრება ყოვლადძლიერია, იმიტომ რომ იგი სწორია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტებმა, შემოქმედებითად განავითარეს რა მარქსისა და ლენინის იდეები, შეიმუშავეს პარტიის ახალი პროგრამა. ამ პროგრამის შესრულება საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ კაცობრიობის საუკუნოვანი ოცნება საზოგადოების შესახებ, სადაც არ იქნება კლასები, სოციალური, ეროვნული ჩაგვრა, ომები. ახლა რომ იყოს მარქსი ჩვენს შორის, XX საუკუნის შუახანების კომუნისტებს შორის, იგი დაინახავდა კომუნიზმის ტრიუმფულ წინსვლას დედამიწაზე, გაახარებდა „კომუნისტური მანიფესტის" დიადი იდეების პრაქტიკული განხორციელება და სიამაყით იტყოდა: „დიახ, კომუნიზმის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ. ამ იდეებს ეკუთვნის მომავალი".

პატივისცემით

ნ. ს. ხრუშჩოვი



ახალ შვიდწლედში თბილისს შეემატა მუსიკალური ინსტრუმენტების კიდევ ერთი ახალი დიდი საწარმო, რომელმაც ყოველწლიურად უნდა გამოუშვას ათასობით პიანინო და როიალი, აგრეთვე მათი კლავიატურა-მექანიკის კომპლექტები.

ახალი ფაბრიკის კოლექტივი უკვე შეუდგა კლავიშებიანი ინსტრუმენტების გამოშვებას.

ამ სურათზე (ზემოთ) ჩვენ ვხედავთ კლავიშებიანი ინსტრუმენტების ახალი ფაბრიკის მოწინავე მუშებს (მარჯვნიდან) ოთარ მოსიაშვილს, ეთერ ბიბილაშვილს, გრიგოლ სააკიანს, კუსა მიქელაძეს და ზაირა ანდრიანოვას ისინი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ საწარმოო გეგმას, უშვებენ კლავიშებიანი საკრავების ნაწილებს.

არგვეთის საცდელ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობას განზრახული აქვს ჩაატაროს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ახლანდელი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შესაცვლელად ჯიშიანი პირუტყვით. ენერგიულად შრომობს მეურნეობაში მწველავი თამარ კობახიძე, რომელსაც მოსავლელად აბარია 18 საფურაქე ძროხა. თამარმა უკვე ვადამდე შეასრულა წველადობის წლიური დავალება. მას არ ჩამორჩება მეხბორე თინა კობახიძე. მათ კარგი მოვლით უდანაკარგოდ გამოზარდეს 70 ხბო.

სურათზე — ქვემოთ მეხბორე თინა კობახიძე (მარცხნივ) და მწველავი თამარ კობახიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ს. ონანოვისა.

მჯიდრო მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის

ახალი წლის შეხვედრა კრემლში

განუმეორებლად მშვენიერი იყო სადღესასწაულო ნათურებით გაჩირაღდნებული ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი მიწურული ათას ცხრაას სამოცდა ერთი წლის უკანასკნელ საათებში. თითქოს თვით ბუნება ეხმარებოდა მოსკოველებს. თოვლით დაფარული ქუჩები და ხეები ზღაპრულ ეერს აძლევდნენ ქალაქს. დიდი სადღესასწაულო გამოცცხლება სუფევდა დედაქალაქის განიერ პროსპექტებსა და მოედნებზე, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში, ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში. ყველგან ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ზეიმით და სიხარულით შეხვედროდნენ ათას ცხრაას სამოცდა ორ წელს.

კრემლის ყრილობათა სასახლე. აქ, ამ სასახლეში, მიმდინარეობდა პარტიის XXII ყრილობის ისტორიული სხდომები, ხოლო დღეს მის სტუმართმოყვარულად გაღებულ კარში ახალი წლის ტრადიციულ შეხვედრაზე, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა აწყობს, შეიკრიბა მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავე მუშები, მოსკოვის ოლქის მინდვრის მშრომელნი, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. აქ არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სსრ კავშირის და რუსეთის სფსრ მინისტრეები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები და ადმირალები.

შეხვედრას ესწრებიან დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, აკრედიტებულნი საბჭოთა კავშირში.

გულთბილად და გულითადად შეხვდნენ დამსწრენი ვრცელ და ლამაზად მორთულ სანანეტო დარბაზში შემოსულ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიკოიანს, დ. ს. პოლიანსკის, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. ი. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. ნ. შელეპინს.

რამდენიმე წუთიღა დარჩა შუაღამემდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი წარმოთქვამს გასული 1961 წლის სადღეგრძელოს.

იგი ამბობს, რომ ეს იყო შესანიშნავი წელი. 1961 წელს საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ერთგული ლენინელი ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვი, ახალი შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში. ეს წელი ღირსშესანიშნავია აგრეთვე იმით, რომ 1961 წელს გაიმართა სკკპ ისტორიული XXII ყრილობა, რომელმაც მიიღო ჩვენი ყველაზე სამართლიანი, ყველაზე ნათელი საზოგადოების — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა. ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, რომ საბჭოთა ხალხს ყველა საფუძველი აქვს თბილი, კარგი სიტყვა უთხრას გასულ 1961 წელს.

ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ 1961 წელი იყო დედამიწაზე მშვიდობისათვის ბრძოლის წელი. იგი სვამს მსოფლიოს მარადიული მშვიდობის სადღეგრძელოს.

მხურვალე მოწონებით შეხვდნენ დამსწრენი სადღეგრძელოს, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა.

გაისმის გულშიჩამწვდომი სიტყვები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მილოცვისა საბჭოთა ხალხისადმი. დარბაზში ქრება სინათლე. ნელნელა იხსნება სცენის ფარდა და სილრმეში ბრწყინავს ციფრი „1961". კრემლის კურანტების პირველსავე დარეკვაზე მას ცვლის ახალი — „1962". ნაირფერადი ნათურებით აელვარდა ხუთი ულ-მაზესი ნაძვისხე.

კურანტებმა დარეკეს შუაღამე. დარბაზში კვლავ აინთო სინათლე. გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო მელოდია.

დამსწრენი იღებენ სასმისებს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს შრომაში უსურვებენ ერთმანეთს.

საახალწლო სადღეგრძელოთი მომართავს დამსწრეთ საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი ამბობს:

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! პატივცემულო ბატონებო!

კიდევ ერთი, 1961, წელი ჩაბარდა ისტორიას. მთელი მსოფლიოს ადამიანები აცილებენ ძველ წელს. ისინი იგონებენ ყოველივე კარგსა და კეთილს, რაც მიმავალმა წელმა მოუტანა მათ. ისინი ფიქრობენ მომავალზე, ფიქრობენ იმედით და რწმენით, რომ ახალი წელი იქნება უკეთესი, უფრო ბედნიერი.

საბჭოთა ადამიანებისათვის 1961 წელი კარგი წელი იყო. ვფიქრობ, შეიძლება ითქვას ძალიან კარგი წელიც. ეს იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის წელი — პარტიისა, რომელიც შექმნა დიდმა ადამიანმა და კომუნისტმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. ჩვენი პარტიის ყრილობამ მიიღო კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა — ჩვენი ცხოვრებისა და იმედების, ნათელი მომავლისათვის ყველა საბჭოთა ადამიანის შრომისა და ბრძოლის პროგრამა.

საუკუნეების მანძილზე ახალი წლის წინ ადამიანები მიმართავდნენ ზღაპრებს. მათ გამოიგონეს კეთილი თოვლის პაპა, რომელსაც მოაქვს საჩუქრები. თოვლის პაპა ლამაზი გამოგონებაა ბავშვებისათვის. მაგრამ მოზრდილმა ადამიანებმა იციან, რომ უკეთესი ცხოვრება, ბედნიერება ადამიანებისათვის შეგვიძლია მოვიპოვოთ მხოლოდ ბრძოლით, გულმოდგინე შრომით, ადამიანის გონებით.

გასულ წელს საბჭოთა ადამიანებმა კარგად იშრომეს. და ხატოვნად რომ ვთქვათ, თოვლის პაპამ მათ ბევრი შესანიშნავი საჩუქარი მოუტანა. ნება მიბოძეთ დავასახელო მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. განვლილ წელს ჩვენი მრეწველობის პროდუქცია 9 პროცენტზე მეტით გადიდდა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს სამი მილიარდ ორასი მილიონი ფუთი პური, 320 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე წინა წელს.

1961 წელს ჩვენს ქვეყანაში აშენდა 82 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — ეს არის ათი ისეთი ქალაქი, როგორიც გორკია მისი მილიონიანი მოსახლეობით. ერთი წლის მანძილზე ჩვენში წარმოებული იყო ას სამოცჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე ძველ რუსეთში.

ამ წუთს მე მინდა ახალი ბედნიერება მივულოცო ხუთ მილიონ ქალსა და მამაკაცს, რომლებიც 1961 წელს დაქორწინდნენ. ახალ წელს პირველად ხვდება ხუთი მილიონი პატარა საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც უკანასკნელ თორმეტ თვეში დაიბადნენ. მოსახლეობის ასეთი მატება, როგორიც ამ უკანასკნელ წლებში არის საბჭოთა კავშირში, არ ახსოვს ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

როგორ არ უნდა გავიხსენოთ ახლა ჩვენი პირველი კოსმონავტები იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი, რომლებიც დღეს აქ არიან. ამ გმირებმა და ყველა იმათ, ვინც მათთვის შექმნეს კოსმოსური ხომალდები, კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ისტორიაში, კაცობრიობის ისტორიაში.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს ჩვენმა ძმებმა სოციალისტურ ქვეყნებში. და ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ მათ ახალ დიდ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ აგრეთვე დიდ წარმატებებსა და ბედნიერებას ხალხებს, რომლებიც კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლდნენ. დარწმენებული ვართ რომ 1962 წელს ახალ-ახალ გამარჯვებას მოიპოვებენ ხალხები, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

ძმურ სალამს ვუთვლით და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ყველა ქვეყნის მუშათა კლასს, მშრომელებს!

მივესალმებით მთელი მსოფლიოს ხალხებს!

1961 წელი მშვიდობიანი წელი იყო საბჭოთა ხალხისათვის. საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნები ახორციელებდნენ, ახორციელებენ და კვლავაც განახორციელებენ მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის ლენინურ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი ომის საფრთხე და დავიცვათ მშვიდობა.

მოგილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, ახალ წელს, ახალ ბედნიერებას, ახალ წარმატებებს!

ვუსურვებ ახალ წელს ყველა ჩვენს პატივცემულ სტუმარს! ნება მიბოძეთ ვადღეგრძელო დიდი საბჭოთა კავშირის შემდგომი აყვავება, სახელოვანი საბჭოთა ხალხი, სოციალიზმის ყველა ქვეყნის წარმატება, კომუნიზმის გამარჯვება, მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა!

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ადღეგრძელა ელჩები, რომლებიც არიან თავიანთი ხალხების, თავიანთი მთავრობების წარმომადგენელნი ჩვენს ქვეყანაში, წარმატება უსურვა მათ საქმიანობაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

დარბაზობაზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა დიპლომატიური კორპუსის დეკანმა ჩვეცეის ელჩმა სსრ კავშირში როლფ რასულმანმა. ელჩების სახელით მან უაღრესად გულწრფელი საახალწლო სურვილები გამოთქვა საბჭოთა ხელმძღვანელებისა და მთელი საბჭოთა ხალხისადმი.

გვიან დამემდე დიდი გულითადობის ვითარებაში გაგრძელდა დარბაზობა კრემლში.

თავისი შესანიშნავი შემოქმედებითი ძალებით აღსავსე შევიდა ჩვენი სამშობლო ახალ 1962 წელში. „შევუდგეთ მუშაობას ამხანაგებო! კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისათვის!" ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ამ სიტყვებით ხელმძღვანელობს

შრომითი გმირობისათვის, მეგობრებო!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩვენს წინაშე დიდი სახელოვანი გზაა. ახალ წელს ახალი დიადი საქმეები უნდა განვახორციელოთ. ისინი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალების მძლავრ მოზღვავებას იწვევენ, აღაფრთოვანებენ მას ახალი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საახალწლო მილოცვიდან.

კომუნისტი ანა ღონღაძე

მდინარე სურამულა რომ გადავეჭრით, ფერმის გრძელი ბოსელი გამოჩნდა.

— აი ჩვენი ფერმაც! — გვითხრა ანა ღონღაძემ და წინ წაგვიძღვა.

ფერმის შენობაში შესულს წყლის ჩუხჩუხი რომ შემოესმა, სახე გაებადრა.

წყალი მოვიდა? მექანიზატორებმა გვიმეველს ხომ? — მიმართა ავტოსარწყულებლებთან ჩამუხლულ ვაჟკაცს, ვეტერანკოს გოდერძი მურჯიკნელს.

— ანა დეიდა, წყალი კი მოვიდა, მაგრამ მექანიზატორებს როდი უწვალიათ, ჩვენ თვითონ გავაკეთეთ, ფერმის ბიჭებმა! — ამაყად მიუგო გოდერძიმ.

— აგრეც უნდა, შვილო! — გაამხნევა ანამ ახალგაზრდები.

ჩვენ ძროხების წველადობის მდგომარეობა გვაინტერესებდა. ანა ღონღაძემ ჯერ ბოსელში შეგვიყვანა, დაგვათვალიერებინა და შემდეგ მოგვიყვა:

— გასული წლის თებერვალ თვეში 11 ძროხაზე 190 ცენტნერი რძე მივიღე. ეს საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.723 ლიტრს შეადგენს, გეგმით კი წლიურად 1.700 ლიტრი უნდა მივიღო. ასე რომ დარჩენილ დროში გეგმას უფრო მეტად გადავჭარბებ. აბა ერთი ჯიშიანი ძროხები გვყადეს, მაშინ გენახათ, რაიონში წინ არავის გავეშვებდი, ისევე როგორც ხორცის წარმოებაში!

— ხორცის წარმოებასთან მწველავებს რაღა გესაქმებათ, ანა დეიდა? — შეეკითხეთ გაკვირვებულებმა.

— როგორ თუ რა გვესაქმება?! — გვითხრა მან, იქვე წითელ კოთხეში მიგვიწვია...

ვისაუბრეთ... თვალწინ დაგვიდგა ამ გამოჯე კომუნისტი ქალის საინტერესო წარსულიცა და აწმყოც.

* * *

1960 წლის დასაწყისია. პარტიის რაიკომის პლენუმი განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებს.

გაჩაღდა კამათი.

სიტყვა ითხოვა კოლმეურნე ანა ღონღაძემ.

როცა ტრიბუნასთან მივიდა ეს ქალარა დედა, დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას აინტერესებდა რას იტყოდა ხანდაზმული, მოამაგე ადამიანი.

— ამხანაგებო! — დაიწყო სიტყვა კოლმეურნე ქალმა, — სიმართლე გითხრათ მოხსენებამ ძალიან დამაფიქრა. პარტია გვეუბნება, ყველა მშრომელს უნდა ესმოდეს თავისი ადგილი პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაშიო. და აი მეც შევეკითხე ჩემს თავს: ანა, შენ თუ გესმის, სად არის შენი ადგილი? და თვითონვე ვუპასუხე: „ჰო, მესმის... წლების მანძილზე რძის წარმოება გადიდების საქმეს ვემსახურები, მიღწევებიც მაქვს, აქაც აღნიშნეს, მაგრამ რაღაც ხმა ჩამძახის, არა, ეგ არ კმარაო, მარტო რძე რას გვეყოფა, ხორცის წარმოებაც ხომ უნდა გადიდდესო...

ანა წუთით შეყოვნდა, ღრმად ამოისუნთქა, შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს ნოსტალგიის გადაშლა უნდაო, და განაგრძო:

— კოლმეურნეობისაგან დიდად ვარ დავალებული, ქვრივმა ქალმა მისი ხელშეწყობით გავზარდე და დავაოჯახე ობლები. წლებმა თავისი გაიტანა, მაგრამ მაინც ვერ გამტეხა, კვლავ შრომაში ვხედავ ბედნიერებას. ფერმიდან თავისუფალ დროს ოჯახში ვტრიალებ. აქ ბოსტანი, იქ ქათმები, ღორი და რა ვიცი კიდევ რა... დიასახლისის საქმეს რა გამოლეკს! უსაკლოდ არც ერთ წელიწადს არ ვრჩები. ხომ გაგიგონიათ, გინდ ერთისათვის მოგიკლია და გინდ ორისამისათვის, ოღონდ საკვები გქონდეს. ასეთი აზრი დამებადა: წელს მეორე ღორსაც გავზრდი, ერთი მე და ერთიც სახელმწიფოს. ან ეს იქნება ჩემი წვლილი ხორცის წარმოების გადიდებაში!

შემდეგ რა მოხდა, ეს კარგად ჩანს საქართველოს კკ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის მარტის პლენუმზე ამხანაგ ვ. პ. მეჟავანაძის მოხსენებიდან:

„— მე ვიყავი კონფერენციაზე ხაშურში. იქ გამოვიდა ერთი მეტად პატიოსანი და მუყაითი ხნიერი ქალი ანა ნიკოლოზის ასული ღონღაძე. იგი მწველავია და ჰყავს ოთხი ქალიშვილი და ვაჟიშვილი. ყველა დაოჯახებულია. მან გაზარდა ერთი ღორი და სახელმწიფოს ჩააბარა 100 კილოგრამი კარგი ხარისხის ხორცი. ახლა მწერს წერილს, რომელშიც ვალდებულებას კისრულობს გაზარდოს სამი ღორი და ჩააბაროს 300 კილოგრამი ხორცი. პრინციპულად ეს ცუდი არ არის, მაგრამ გაუჭირდება. ამიტომ მივწერ, რომ გაზარდოს მხოლოდ ერთი ღორი. არც ეს იქნება ცუდი. დე სხვებმაც მიბაძონ მის მაგალითს“.

* * *

სურამელი მწველავის წამოწყების ამ მაღალ შეფასებას სიხარულითა და ქმაყოფილებით შეხვდა ხაშურის რაიონის ყველა მშრომელი. პარტიის რაიკომის ბიურომ მიიღო დადგენილება სურამის კოლმეურნეობის მწველავის ანა ღონღაძის თაოსნობის ფართოდ დანერგვის შესახებ. ბიურომ მხარი დაუჭირა ამ თაოსნობას და დაავალა სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, საკოლმეურნეო და ტერიტორიული პარტორგანიზაციების მდივნებს ფართოდ განემარტათ კოლმეურნეებისა და სოფლის ... [illegible] ... ანა ღონღაძის თაოსნობის დიდი მნიშვნელობა...

რაიონის პარტიული აქტივი წავიდა სოფლად ღია პარტიული კრებების ჩასატარებლად. სწორაფად იწყო ზრდა ანა ღონღაძის მიმდევართა რიგებმა. ამ თაოსნობას პირველ რიგში ყველაზე ერთსულოვნად მისმა თანასოფლელებმა — სურამელმა კოლმეურნეებმა დაუჭირეს მხარი. კოლმეურნეობის აქტივმა იკისრა პირად მეურნეობიდან 43 ცენტნერი ხორცი მიყიდოს სახელმწიფოს. 80–100-კილოგრამიანი ღორების გაზრდა და ჩაბარება გადაწყვიტეს ანზორ კიკნაძემ, ნოე ღლაბაძემ, ლავრენტი ლომსაძემ, მიხეილ ხაჩიძემ, ხოლო გრიგოლ კიკნაძემ, სიმონ ლომიძემ, შუშანა გოგალაძემ და სხვებმა ორმოცდაათ-ორმოცდაათი კილოგრამი ცხვრის ხორცის ჩაბარება იკისრეს.

კოლმეურნეობა „ზემო ქართლში“ 100-მდე კოლმეურნემ იკისრა სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის გაზრდა.

— ჩვენ სულ ცოტა ას-ას კილოგრამ ხორცს მივყიდით სახელმწიფოს! — გაიცადეს მწველავმა ოლია ნადირაძემ, მესიმონდე პეტრე ნოზაძემ, პარტბიურის მდივანმა გიორგი მაჭარაშვილმა და სხვებმა.

ანა ღონღაძეს მხურვალედ გამოეხმაურნენ აგრეთვე ოსიაურის, წრომის, ხცისის, თაგვეთის, კლდისწყაროს და სხვა კოლმეურნეობათა მშრომელები. თაოსნობამ ფართო გაქანება მიიღო.

* * *

დეიდა ანა, მართლაც რომ კარგი საქმე წამოგიწყიათ. ახლა ესეც გვითხარით, აი, 1961 წელი დამთავრდა, რა მაჩვენებლებით შეხვედით ახალ, 1962 წელს?..

— კეთილი, გეტყვიათ... გაიღიმა და ჩვეული სიდარბაისლით განაგრძო, — მე ორი ღორი გავზარდე და სახელმწიფოს 140 კილოგრამი ხორცი მივყიდე. ძალიან კმაყოფილი ვარ თანასოფლელებისა. კომუნისტმა გიორგი მათიაშვილმა ასკილოგრამიანი მოზვერი მიიყვანა შემსყიდველ პუნქტში. მწველავმა ეკა გრძელომა ღორი ჩაბარა. ამას წინათ პარტიის რაიკომის პლენუმზე რაიონში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა განვიხილეთ — განაგრძობს საუბარს ანა ღონღაძე, — როგორც რაიკომის წევრს, მეც მალაპარაკეს. იქ შევეტყვე, რომ არც ჩემი მიმდევრები არიან გულხელდაკრეფილი. სიმწიფის აღესტატით კოლმეურნეობაში მოსულმა ხეცისელმა ქალიშვილმა ჟოჟუნა გაგლოშვილმა ერთი ღორი უკვე მიჰყიდა სახელმწიფოს და მეორის გაზრდა დაიწყო. 80–150 კილოგრამი ხორცი მიუყიდიათ სახელმწიფოსათვის მის მეზობლებს სიმონ ძამანაშვილს, გიორგი ბურნაძეს, კლდისწყაროელ გურამ და სიმონ გელაშვილებს, ალილ ილია ხაჩიძისა და ალე ნოზაძეს... ახლა ასობით კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობის მუშის ოჯახში ნახავთ მოზარდეულს, ღორებს და ცხვრებს, რომლებზეც გეტყვიან, ამას სახელმწიფოსათვის მისაყიდად ვზრდიო და ვასუქებთო.

თუმცა ვალდებულება გავანაღდე, მაინც ცოტად მეხვენება. რაც გამიკეთებია. მართალია, წლები მემატება, მაგრამ გარშემონებთ შრომასაც მოვუმატებ... კომუნიზმი მილიონთა შრომამ უნდა შექმნასო, ამბობს პარტია, და ამ დიად შრომას, მანამ პირში სული მიდგას, როგორ ეუღალატებ!

ანა ღონღაძეს მოუსვენრობა დაეტყო — გულითად საუბარში საკმაო დრო გასულიყო, მას კი საქმე უხმობდა...

ჩვენც კმაყოფილნი დავემშვიდობეთ და მდინარე სურამულას სანაპიროს გამოვყვევით. მოვდიოდით და კვლავ თვალწინ გვედგა ღვაწლმოსილი კომუნისტი ქალის სახე, რომელსაც მისი ფრთებშესხმული თაოსნობის ნათელი აციმციმებს.

მ. ხეთაგური,
ლ. კაკაიაშვილი.

ლხინი სალხინოში

ოდესღაც ამ სოფელს სალხინო არ ერქვა. ეს სასელი ცნობილი გახდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ირგვლივ მთებით შემორკალული სოფლის შუაგულში, ბუნებრივი და ხელოვნური ხეივნების სილამაზეში დგას ორსართულიანი დიდი შენობა ვრცელი დარბაზებით, იქვე ხეივნის ხელმარჯვნივ ორიარუსიანი ღვინის სარდაფი აშენებული.

ამ სოფლის ცოცხალი მემატიანე ღრმად მოხუცი მარკოზ სურმავა მოგვითხრობს, რომ სასახლის მშენებლობა 1852 წელს დაუწყია სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით დადიანს და დაუთავრებია ეკატერინე ჭავჭავაძეს. მაშინ ამ სოფლის მთელი სიმდიდრე, აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სოფელი ჭადუაში ფრანგ მიურატებს ეკუთვნოდათ, ხოლო მეორე შესანიშნავი დასასვენებელი ადგილები — გორდი და კინჩხა — დადიანებს.

ახსოვს მარკოზ სურმავას, ამ სოფლის მასწავლებელს, როგორ მიიწვიეს მიურატების სასახლეში. ეს იყო 1909 წელი. მარკოზი იგონებს, როგორ აფასებდნენ სელეკციონერი გოშე, მევენახე-მეღვინე რიბოვი ოჯახლეშის ჯიშის ვაზს და როგორ ავრცელებდნენ მას.

შემოდგომაზე და ახალწლის დღეებში მრავალი სტუმარი იყო სასახლეში. დარბაზებში გამლილ დიდ მაგიდასთან იმართებოდა ნადიმი, ლხინი, დროს ტარება... ამით გაიოქცა სახელი სოფელმა და სალხინოც მიტომ დარქვა...

ლხინი და სიმდიდრე მიურატების რეზიდენციაში იყო. სიღარიბე, შიმშილი — გლეხების ქოხებში. გლეხები წელგაწყვეტით მუშაობდნენ მიურატების მამულში და მიღებული მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი მიჰქონდათ შინ.

მაშინ სალხინოელ გლეხებს ლუკმაპური ენატრებოდათ. ასეთ პირობებში წარმოიდგინეთ, რა ღარიბული, უხალისო იქნებოდა გლეხების საახალწლო სუფრა...

მაგრამ ნახეთ ეს სოფელი დღეს. იგი საკოლმეურნეო შრომით განახლებული, აყვავებული და მდიდარია. ამ სოფლის წარმატებებზე, სიხარულსა და ლხინზე ყველა, დიდი და პატარა ლაპარაკობს. ამას დაწვრილებით გვიყვებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალერიან თოდუა, მისი მოადგილე პლატონ სხულუნია.

— ეს მშვენიერი მინდორ-ველები, ეს ლამაზი მთები და გორაკები, კალმახით განთქმული მდინარე წაჩხურა, ორას ჰექტარზე გადაშლილი ჩაის პლანტაციები, სიმინდი და ვენახი, უამრავი პირუტყვი, — ამბობენ სალხინოელები, — ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენი მარჯვენით არის მოპოვებული და გაპოხიერებული.

გული სიხარულით გევსებათ, როცა ეცნობით ამ სოფლის ცხოვრებას. კოლმეურნეთა ნაამაგარზე ნათლად მეტყველებენ ციფრები და ფაქტები. 1961 წელს 340 ტონის ნაცვლად 348 ტონა „მწვანე ოქრო“ დაუხვავებიათ სალხინოელებს. მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 22 ცენტნერი სიმინდი მიუღიათ, 60 ტონა სიმინდი სახელმწიფოსათვის მიუყიდიათ, კოლმეურნეებს მარტო პრემიის სახით ოთხმოცი ტონა სიმინდი მიუღიათ. კოლმეურნეობა გადასულია შრომადღეების ფულად ანაზღაურებაზე. უკვე გაცემულია 120 ათასი მანეთი.

სალხინოელებმა 1961 წელი კარგად დაამთავრეს სხვა დარგებშიც. შესრულებულია მეცხოველეობის სულადობის ზრდის, სახელმწიფოსათვის რძის, ხორცის, აბრეშუმის პარკის მიყიდვის დავალებანი.

შემდეგ მოწინავეებზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი.

— მოწინავეებს რა გამოლევს რვაასკომლიან სოფელში, — გვითხრეს მასპინძლებმა. — აბა რომელი ერთი დავასახელოთ. მერვე ბრიგადამ, რომელსაც ბ. ბასილაია ხელმძღვანელობს, ორმოც ტონამდე ჩაის ფოთოლი მოკრიფა ცხრანახევარ ჰექტარზე, ე. ცაავას ბრიგადამ — ორმოცდაორი ტონა. პირველმა რგოლმა მარინე ბასილაიას მეთაურობით ჩვიდმეტ ტონამდე „მწვანე ოქრო“ მიიღო სამნახევარ ჰექტარზე, ვ. ქვარცხავას რგოლმა სამეალოდ ჰექტარზე მოსავლიანობა 4.500 კილოგრამამდე აიყვანა.

მეჩაიეებმა მარინე ბასილაიამ, გულნარა ფირცხალავამ, გოგოშა კკაუტიამ, თინა სხულუნიამ; მესიმინდეებმა ვ. ქვარცხავამ, ბ. ცაავამ, ა. ნაჭყებიამ, აკ. ცაავამ, ე. ცაავამ; მეცხოველეებმა — ა. თოდუამ, შ. სხულუნიამ და სხვებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მათს სახელებს მთელ სოფელში ქებით იხსენიებენ.

კოლმეურნეობაში იანგარიშეს და 1961 წლის ფულადი შემოსავალი 450 ათას მანეთს აჭარბებს, ხოლო განუყოფელმა ფონდმა 681 ათასი მანეთი შეადგინა. სოფლის მშვენებაა რესპუბლიკური მნიშვნელობის საავადმყოფო 35 საწოლით, სკოლა-ინტერნატი, საშუალო და შვიდწლიანი სკოლების ახალი შენობები, ავეჯის ფაბრიკა, საბავშვო ბაღები, პურისსაცხობი, აფთიაქი, სახერხი ქარხანა, სასადილო, სავაჭრო მაღაზიები...

სალხინოში ახალწელს ახალი კინოთეატრი საზეიმოდ გახსნეს. იგი შვიდას მაყურებელს დაიტევს. ბევრმა კოლმეურნემ საახალწლო სუფრა გაშალა ორსართულიან ოდასახლში. ახლა კოლმეურნეთა ოჯახებში ილიჩის ნათურები ანთია, თითქმის ყველა ოჯახში ლაპარაკობს რადიო, მოდის ჟურნალ-გაზეთები...

კოლმეურნე აკაკი ხურცილავა ამ ერთი თვის წინათ დაბეჯითებით ამბობდა, ოდასახლის მშენებლობა 1961 წლის ანგარიშში უნდა დავამთავროო. პირობა უკვე შეუსრულებია და 1962 წლის პირველ დღეებში ლხინი გაუწიეგებია. აბა კკითხეთ ისაკ ჭაჭუას იმ სიხარულის შესახებ, რასაც ახლა განიცდის. შვილები მოესწრო. მისი ორი ვაჟი ბეჯითად შრომობს კოლმეურნეობაში, მესამე საბჭოთა არმიაშია.

— ახალ წელს, — გვიამბო აკაკიმ, — ოჯახის წევრები სუფრას შემოვუსხედით: ათი შვილი და ჩვენ. სულ თორმეტი. კარგი ლხინი გვქონდა. თამადა ავირჩიეთ, სადღეგრძელოც ვთქვეთ და სუფრულიც დავაგუგუნეთ...

ასე იქნება მომავალ წელსაც ჩვენი საახალწლო სუფრა...

ახლა ვარლამ ქვარცხავას სიხარულიც გავიზიაროთ. მშრომელი კაცია, მესიმინდე. მისი ვაჟი საბჭოთა არმიაში იყო. ვარლამმა იმდენი იმარჯვა, რომ ახალი სახლის მშენებლობა დაამთავრა, ვაჟიშვილიც ვალმოხდილი დაუბრუნდა საბჭოთა არმიიდან.

1962 წელს ბედნიერმა კაცმა ფართოდ გაიღო ახალი სახლის კარები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალერიან თოდუა, სახელოვანი ბერიკაცი მარკოზ სურმავა ამაყად დგანან კოლმეურნეების კანტორის წინ, შორს იხედებიან... გაიღლის კიდევ ოციოდე წელი და ეს სოფელიც ქალაქს დაემგავსება. გამრავლდება სიუხვე, სიმდიდრე, სუფრას დაამშვენებს წაჩხურული კალმახი. მდინარესავით იჩუხჩუხებს შორს განთქმული „ოჯალეში“...

მუდამ წინსვლა, წარმატება! ლხინია სოფელ სალხინოში...

ნ. ჯანჯღავა,
გ. ნოდია.

გული მღერის

ახალი, მაღალი, ვრცელი და ღრმა,
ასეთი გვინდა ცხოვრება ჩვენ,
ვარსკვლავებს სწვდებოდეს სიმღერის
ხმა,
გზა ყველას — შრომაში გმირობის
მჩენს!

ქუხილში, გრიგალში, ღელვას თუ
თქეშს
ვერ გადმოვლახოს ვერცერთი მთა,
გაჩაღებულიყოს ახალ მზის ქვეშ
პურობა, მაჭრობა, თესვა და მკა.

ეს ლოცვა არ არის, ეს
სადღეგრძელოა,
ეს არის სიმღერა ახალი წლის,
დიდება, სარძოლო გზა ვისიც
გრძელია
და ძველ გამარჯვებებს ახალით
ცვლის!

ვისი სიყვარულიც კვლავ ანთებს
გულს
და ვინც არ უდრკება ბრძოლის გზას
ძნელს,
ვისაც დაეანგული სიცოცხლე სძულს,
ეტრფის ახალსა და აფასებს ძველს.

ძველიც კარგი იყო, ახალიც გვსურს,
მივეცეთ სიმღერას, ლხინსა და წვას,
მეტი აღმაფრენა ავსებდეს სულს
და არ უდალატო რაც გულით გწამს!

სიცოცხლეს ულხინოდ რა ფასი აქვს,
ეშატან პურფვინო სუფრების რიგს,
დიდება იმ მოხუცს, ხეხილს რომ რგავს
და შვილიშვილთათვის სიკეთეს იქმს.

სიკეთე, სიმართლე, სიმშვიდე ხალხს!
სამშობლოს ძახილი ქუხილად ჟღერს;
დიდება, ვინც შრომით აღანთებს
გულს,
რათა გამარჯვება მოჰფინოს ერს.

ახალი, მაღალი, ვრცელი და ღრმა,
ასეთი გვინდა ცხოვრება ჩვენ,
ვარსკვლავებს წვდებოდეს სიმღერის
ხმა,
გზა ყველას — შრომაში გმირობის
მჩენს!

ანდრო თევზაძე.

ახალი ფიქრები და ამოცანები ახალ წელს

ჩვენი კრიტიკა

შრომა სიხარულია

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის ცნობილი ოსტატი სარა ავიძბა. ოჩამჩირელი მეთამბაქოე მაგნოლია ამიჩბა და მე მოსკოვიდან ერთად ვბრუნდებოდით. უდიდესი შთაბეჭდილებებით აღსავსენი მატარებელში ერთმანეთს ვუზიარებდით მომავლის გეგმებს.

მატარებელი რუსეთის ვრცელ ველებზე მოჰქროდა, მე კი მშობლიური ჭუბურხინჯი მედგა თვალწინ, მისი პლანტაციები, სიმინდის ყანები. ვიცოდი, რომ მოუთმენლად მიმლოდნენ თანასოფლელები და მეც მათი ნახვა, მათთან საუბარი მწყუროდა. სათქმელი ბევრი მქონდა. როდესაც ჭუბურხინჯში ჩამოვედი პირველივე შეხვედრა გვიან ღამემდე გაგრძელდა.

შვიდწლედის მეოთხე და დიადი ოცწლეულის პირველი წელი დაიწყო. ჩვენ, მეჩაიეებს ახალი საზრუნავი გვაქვს. საქმით უნდა გამოვეხმაუროთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ხსრ მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელ დადგენილებას.

ახლა მთავარია ჩაის პლანტაციების დამუშავება. უნდა ითქვას, რომ ჩვენი კოლმეურნეობის ყველა პლანტაცია სახარბიელო მდგომარეობაში ვერ არის. ეს მარტო ჩვენ როდი შეგვეხება.

მე მრავალ კოლმეურნეობაში ვყოფილვარ და სანიმუშოდ მოვლილი ჩაის პლანტაციების გვერდით დაჩიავებული ნარგავებიც მინახავს. ეს კი შეუწყნარებელია.

ასეთი პლანტაციები ჩვენს კოლმეურნეობაში ძირითადად მეორე, მესამე და მეოთხე ბრიგადებშია. ამიტომ პირველ რიგში ამ პლანტაციების დამუშავება დავიწყეთ. ჩვენი მიზანია მომავალ წელს ყველა პლანტაცია უხვმოსავლიანი გავხადოთ. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს წელს სულ მცირე 100 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ იმავე ფართობებიდან.

მახსოვს — ჩვენს კოლმეურნეობაში მხოლოდ ერთი აგროტექნიკოსი მუშაობდა. ახლა კი ექვსი აგროტექნიკოსი ბრიგადირია. მათ ცოდნას დიდი სარგებლობა მოაქვს როგორც საერთოდ კოლმეურნეობისათვის, ისე ჩამთვისაც.

ამას წინათ პარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო ორგანიზაციების აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვედი. წელს 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან ათი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა ვიკისრე. ახლა მთავარია მისი განაღდება.

მშობლიური პარტიის XXII ყრილობამ ისეთი ბრანდიოზული ამოცანები დასახა, რომ ერთეულთა მიღწევები წვეთია ზღვაში. ამიტომ თვითეული ჩვენგანი უნდა ცდილობდეს ხელი შეუწყოს საერთო აღმავლობას, ყველას კუთვნილება გახადოს მოწინავე გამოცდილება.

ჩვენი კოლმეურნეობა წელს ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობას 100 ტონით გაზრდის და სამშობლოს მისცემს 435 ტონა „მწვანე ოქროს“.

...სასიხარულოა შრომა ჩვენს დროში. აბა როგორ არ უნდა გვამაყებოდეს, რომ შენ კომუნიზმის მშენებელი ხარ!

ციალა ყოლბაია,
გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის კოლმეურნეობის მეჩაიე, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი.

ფიქრები და ამოცანები ახალ წელს

რა არ გახარო, ჩემო ქვეყანავ!



აკადემიკოსი
ნიკო კეცხოველი.

ამ სამოცდაათი წლის წინათ სულმნათი ილია ახალწლის წინაღამეს უჯდა მაგიდას და გულდადაღული ფიქრობდა „რით გაგახარო, რა მოგიღოცო, ჩემო ტანჯული ეროვ...“

და ვერ პოულობდა იმ შავბნელ დროს ვერც გასახარელს, ვერც მისალოცს, და ქართველი კაცის გული ხომ დაიმდუღრებოდა, ახალწელს ისე შეგებიჯებინა, თან არ ჰქონოდა ჩვენი ქვეყნის ბარაქა, დოვლათი, მადლი და სიხარული. სულ რომ არა ჰქონოდა რა, ერთ ათიოდე მარცვალ თავთუხს იშოვნიდა, ათიოდე მარცვალ დოლის პურს, ერთ მუჭა ფეტვს, ჩამიჩს, წითელლოყა ვაშლს, ერთ ხელადა ღვინოს დაალაგებდა ხონჩაზე და იმედიანად შესძახებდა: „მოგილოცავთ ახალ წელს, აიგოს სიხარულით თქვენი გულიო“... მე დღეს თითო მარცვლის ძებნა არ დამჭირვებია.

და აი ქართულ ხონჩაზე დალაგებულ მრავალ და მრავალ მეცნიერულ შრომას ვხედავ, რომლითაც ქართველი ხალხი მსოფლიოს ულოცავს ახალ წელს, მშვიდობას, შრომას.

ამ მრავალთა შორის ვხედავ ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებთ, რომელთაც ქართველი ხალხის მადლი და სიმშვენიერე ჩვენს საზღვრებს გადაღმა მიაქვთ შორს.

ესენია ჩვენი უებრო მეცნიერების ვ. გულისაშვილის „ეკოლოგია“, ილია ვეკუას „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, ი. ბერიტაშვილის ორი წიგნი — „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ“ და „უმაღლეს ხერხემლიანთა ქცევის ნერვული მექანიზმები“, ლ. დავითაშვილის საგულისხმო ახალი ნაშრომი. ეს ის შრომებია, რომლებიც მსოფლიოს აცნობს, რა მაღალ დონეზე დგას მეცნიერება თანამედროვე საქართველოში, მაგრამ ამ ფონზე შესანიშნავად ბრწყინავენ ისეთი შრომები, რომელნიც აცნობენ მსოფლიოსვე ჩვენი თვითმყოფი კულტურის სიდიადეს, მის თავისთავადობას.

ესენია: გ. ჩუბინაშვილის — „ქართული ოქრომჭედლობა“, შ. ამირანაშვილის — „ქართული ხელოვნების ისტორია“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოსული „ქართლის ცხოვრება“ და მრავალი და მრავალი სხვა. ვინ ჩამოსთვლის ყველას.

აი ოზნიერება ქართული ხონჩა სიმძიმით, ჩვენი ერის ნაღვაწით თუნდაც ერთ დარგში, ბრწყინავს იგი და ელავს, ასევე დიდი ბარგით მოდიან სხვა დარგები ჩვენი, დღევანდელი ქვეყნისა.

როგორ არ მოვიგონოთ ამ დროს ღამენათევი ილია, სამშობლოს დარდით შუბლდაღარული და როგორ არ შევძახო სიხარულით და ამედიანად: „გაიხარე და იცოცხლე ჩემო ხალხო, ახალ ცხოვრებას შენ შეხვდი შენი სულიერის სიძლიერის ახალი, უჩვეულო ნაყოფიერი გაფურჩქვნით. აი და ვარდი გეფინოს გზაზე!“.

ახალი წელი, დიდი ამოცანები

გასული წელი ყველაზე მნიშვნელოვანი წელი იყო ჩვენს ცხოვრებაში, ამ წელს გაიმართა სკკპ XXII ყრილობა, რომელმაც მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის შენებლობის ნათელი და რეალური პროგრამა.

ბედნიერი ცხოვრებით აღფრთოვანებული გმირი საბჭოთა ხალხი ენერგიის დაუზოგავად შობამდა შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ შეუპოვარ ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა და ცალკეულმა ბრიგადებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს — სამშობლოს ვადამდე უპატაკეს ვლიური გეგმების შესრულება.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა სასახელოდ დაამთავრა გასული წელი. წარმატებით ავითვისეთ ახალი გაუმჯობესებული „ტ-8“ ელმავლის წარმოება, რომელიც გაცილებით ძლიერია სერიულ წარმოებაში მყოფ ელმავალთან შედარებით. საცდელი ელმავალი უკვე გამოშებულია და წარმატებით გადის საწარმოო გამოცდას. ამ საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვის კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

ბიდსა თუ მცირე საქმეში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიას. ამ საქმეში პირველ ინიციატორად ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ჩემი ბრიგადა გამოვიდა. ბრიგადის სახელით ამაყად შემიძლია განვუცხადო, რომ თავი არ შეგვირცხვენია. განვლილ პერიოდში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით და მასალების მომჭირნეობით ხარჯვით დავზოგეთ იმდენი თანხა, რომ მოლიანად დავფარეთ ბრიგადის მიერ გამომუშავებული ხელფასი და სამშობლოს დამატებით მივეცით ეკონომია.

კომუნიზმის მშენებლობის პროგრამამ მიღწეულით დაკმაყოფილების უფლებას არ გვაძლევს, შვიდწლედის მეოთხე წლის პირველი დღეებიდანვე კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავეჯაჰოოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ვ. პაპინაშვილი,
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

შეხვედრა სახელოვან თანამემამულესთან

ამ დღეებში გეგეკკორის რაიონის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს თანამემამულეს, რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის წარჩინებულ მეფოლადეს, სკკპ XXII ყრილობის დელეგატს ამირან ფანცულაიას.

კულტურის სახლის დარბაზი ხალხით იყო გაჩეტილი. თანამემამულის გამოჩენას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. ტრიბუნაზეა სახელოვანი მეფოლადე ა. ფანცულაია. მან დამსწრეებს მოუთხრო პარტიის XXII ყრილობის შედეგებზე, თავის შთაბეჭდილებებზე.

შემდეგ ა. ფანცულაიას სიტყვებით მიმართეს, და საჩუქრები მიართვეს გეგეკკორელმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

ა. ფანცულაიამ მადლობა გადაუხადა თანამემამულეებს გულთბილი, საქმიანი შეხვედრისათვის და პირობა მისცა მომავალში უკეთესად იშრომოს, კვლავაც ასახელოს საყვარელი სამშობლო.

სიკეთეს ოქროს მილით ედინოს

ტრიალებს ჟამის მარადი ჩარხი.
ახალწლის ღამე ღიმილში იწვის.
ვთქვათ სადღეგრძელო მშობელი ხალხის,
მშობლიურ ცეცხლის, მშობლიურ მიწის.
მობრძანდი, ტკბილო ახალო წელო,
გზა-კვალს მოგიფენთ ფიქრთა ვარდებით,
მშვიდობით გევლოს, სიმღერით გევლოს,
აგვსრულებოდეს გულისნადები.
ყველა კეთილ კაცს მიეცეს ღხენა,
მზემ თავის მადლი თაფლად დაღვაროს,
ემრავლოს ტკბილი მტევანი ვენახს,
მარცვალი — თავთავს, სიმინდს — ცხრა ტარო.
ყვავილზე მეტად, ვარსკვლავზე მეტად,
როგორც ნათელი სხივები დილის,
გამრავლდეს მამა, გამრავლდეს დედა
და უფრო მეტად გამრავლდეს შვილი.
მსურს დაგულოცო ქალებს ქალობა,
დედური მადლი, გოგოც და ბიჭიც,
რომ ჩვენს მიწაზე ბავშვთა გალობამ
გადაეჯარბოს მერცხლების ჭიკჭიკს.
ტრიალებს ჟამის მარადი ჩარხი,
ახალწლის ღამე ღიმილში იწვის.
ვთქვათ სადღეგრძელო მშობელი ხალხის,
მშობლიურ კერის, მშობლიურ მიწის!

აკაკი გეწაძე.

ახალი გიგანტი მწყობრში

ზესტაფონიდან ჭიათურისკენ მატარებლით მგზავრობისას გაოცებით წითელი მარმარილოთი საქვეყნოდ ცნობილ სალიეთს და ვიდრე მარგანეცის ქალაქში შეხვიდოდეთ, მდინარე ყვირილას მარცხენა მხარეზე თვალწინ გადაგეშლებათ მშენებლობის ხარაჩოების ტყე. უცხო ადამიანს დაეინტერესებს, თუ რა შენდება აქ.

აქ აღმართულია მარგანეცის ღარიბი მადნების გამამდიდრებელი და ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკების უზარმა

ნუ შეშინდები, მთვარევ!

დგას ათას ცხრაას სამოცდა ორი
დიდ გმირობის წელი ახალი.
ვართ ყველაფერში მართალი, სწორი,
კოსმოსსაც ვიპყრობთ აზრით მაღალით,
ნუ გაოცდები, პატარა მთვარევ,
თუ გადაგვლის თავზე რაკეტა.
თქვი: — არ დამტოვეს ოცნების
გარეთ,
„ალმოსავლეთმა“ მეც გადამკვეთა!

ნაზატი გ. ლომიძისა.

კუბა იგრძვის, კუბა იმარჯვებს!..

ფიდელ კასტრო: მარქსიზმ-ლენინიზმის სიმართლით ჩვენ გავიმარჯვებთ!

ჰავანა, (საკდესი). კუბის რევოლუციის მესამე წლისთავს, რომელიც 1 იანვარს სრულდება, მიუძღვნა ფიდელ კასტრომ სტატია „რევოლუციის სამი წელი“, გამოქვეყნებული ჟურნალ „კუბა სოსიალისტას“ უკანასკნელ ნომერში.

ჩვენთვის რევოლუციის სამი წელი, წერს ფიდელ კასტრო, — ეს არის წლები, როცა ჩვენ, კუბელები, გავხდით ჩვენი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონი. კუბის სუვერენიტეტი აღარ არის ფიქცია. მთელი მსოფლიოს თვალში ჩვენი დროშა სარგებლობს პატივისცემით.

რადგან ჩვენ განვთავისუფლდით ამერიკის ბატონობისაგან, იანკის იმპერიალიზმი და ყველა მისი მსახური განუწყვეტლივ ამტკიცებენ, რომ ჩვენ, თითქოს, გავხდით საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სატელიტი. იმპერიალისტებს ვერ წარმოუდგენიათ ისეთი ურთიერთობა ქვეყნებს შორის, რომელიც არ იქნება ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ურთიერთობა, რასაც იმპერიალისტები თავს აბავეენ პატარა და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ამერიკელი იმპერიალისტებისათვის გასაგებია მხოლოდ ისეთი ტიპის ურთიერთობა „როგორსაც განსაზღვრავს მათი საკუთარი წარმოების სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. იმპერიალისტები და კონტრრევოლუციონერები გაჰყვირიან: „კუბაში არ არის თავისუფლება“. სწორია. კუბაში აღარ არის თავისუფლება ექსპლოატატორებისათვის.

ლიგანის ამბების გამო

პარიზი, 1 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება დამასკოდან, ლიბანში გუშინ დილით მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი ცდის შედეგად დაიხურა საზღვარი ლიბანსა და სირიას შორის. ყოველგვარი მიმოსვლა ამ ორ ქვეყნას შორის შეწყვეტილია.

რევოლუციამ გლეხები გაათავისუფლა ფეოდალური ექსპლოატაციისაგან, მეცხოველეობისა და შაქრის მსხვილი ლატიფუნდიები გადაქცეულია სახალხო მამულებად და კოოპერატივებად, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი სამუშაოთი და ღირსეულად ცხოვრობს 250 ათასი სოფლის მეურნეობის მუშა და კოოპერატივის წევრი.

სკოლის ასაკის ყოველ ბავშვს ახლა ჰყავს მასწავლებელი. ყოველ ახალგაზრდას უზრუნველყოფილი აქვს საშუალო განათლება და შესაძლებლობა, რომ მოწოდებისა და ნიჭის შესაბამისად მიიღოს საუნივერსიტეტო განათლება; ამ მხრივ კუბა გაგდა პირველი ქვეყანა ამერიკაში.

სტატიის დასასრულს ფიდელ კასტრო აღნიშნავს:

1962 წელს რევოლუციის წინაშე დასახულია სამი ძირითადი ამოცანა:

ეკონომიკისა და შრომის ზუსტი დაგეგმვა ყველა დონეზე;

ყველა საშუალების უფრო სრული მობმაღება ქვეყნის თავდაცვისათვის იმპერიალისტური აგრესიის საფრთხის წინაშე;

რევოლუციური შეგნებულობის ამაღლება, იდეოლოგიური აღზრდა და განმტკიცება ოვოლუციური უჯრედებისა, რომლებიც შეადგენენ სოციალისტური რევოლუციის ერთიან პარტიას.

ჩვენმა რევოლუციამ მარქსიზმ-ლენინიზმი თავის დროშად აქცია. ჩვენთვის არავის არ უსწავლებია იგი, არავის არ მოუხვევია თავზე იგი ჩვენთვის სხვა კონტინენტიდან. თვით ცხოვრებამ გვიჩვენა გზა და ჩვენც გავყევით მას უშიშრად და ურყევად. ყოველი ნამდვილი რევოლუცია მტკიცედ უნდა მიჰყვებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც რევოლუციურ სიმართლეს, რომელიც ეწინააღმდეგება კოლონიურ მონობას, იმპერიალისტურ ვასალურ დამოკიდებულებასა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. კუბა ამის უცილობელი დადასტურებაა. ჩვენ, ამ სიმართლით შეიარაღებულნი, გავიმარჯვებთ.

საამაყოა, სასიხარულო

დელი, 1 იანვარი. (საკდესი). დღეს მწყობრში ჩადგა ინდოეთის სახელმწიფო სექტორის პირველი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, რომლის სიმძლავრეა 750 ათასი ტონა ნავთობის პროდუქტები წელიწადში. ინდოეთის ახალგაზრდა ნავთობის მრეწველობის ჰირმშოს საზეიმო ამუშავებას, რომელიც შეესწრო გაუპატიო რაიონში (ასამის შტატი) რუშინეთის სახალხო რესპუბლიკის დახმარებით, დაესწრნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ, რუშინეთის ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მინისტრი ფლორესკუ, ინდოეთის ნავთობის მინისტრი მალავია. მშენებელთა მიტინგზე, რომელიც ქარხნის ამუშავებას მიეძღვნა, პრემიერ-მინისტრმა ნერუ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის პირველი სახელმწიფო ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მწყობრში ჩადგომა ახალ ფურცელს გადაშლიან ინდოეთის ეკონომიკის განვითარებაში. მან მიულოცა ყველა მშენებელს მშენებლობის დამთავრება რეკორდულად მოკლე ვადებში.

ქარხანა გადაამუშავებს ინდოეთის ნავთობს და გამოუშვებს ბენზინს, ნავთს, დიზელის სათბობს და მთელ რიგ სხვა ნავთობის პროდუქტებს.

მეშახტეები გრძოლას განაგრძობენ

პარიზი, 1 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იუწყება: ზევით ათასობით ნათურა კაკაშებდა, ამ საახალწლო ღამეს უკრავდა მუსიკა, გაღამოდა სადღეგრძელოები, ქვემოთ 400 მეტრ სიღრმეზე მეშახტის ლამპის მბეუტავ სინათლეზე მოჩანდა შტრეკის სველი კედლის ხან ერთი, ხან მეორე ადგილი, ტომრებზე და ფიცრებზე მსხდომი ადამიანები და ახალგაზრდა, რომელიც აკორდეონზე ასრულებდა ძველებურ ხალხურ სიმღერას...

13 დღეა, რაც მეშახტეები არ გამოდიან სანგრევებიდან. მამაცური გაფიცვიო მიწის ქვეშ ისინი პროტესტს აცხადებენ მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ დაიხუროს შახტები, გადაწყვეტილებისა, რომელიც პრაქტიკულად ულუკმაპუროდ ტოვებს მათ და მათი ოჯახის წევრებს.

„ჩვენ არ ამოვალთ ზევით, სანამ მთავრობა არ აიღებს ხელს თავის განზრახვაზე“.—განაცხადეს დეკაზვილის მაღაროელებმა. ბურუუაზიული პრესაც კი, რომელიც, როგორც წესი, ილაშქრებს ყოველგვარი გაფიცვის წინააღმდეგ, ძალუბულია აღნიშნოს მეშახტეთა მაღალი მორალური მდგომარეობა და „რკინისებური ნებისყოფა“. მეშახტეებთან ერთად, რომლებიც მიწისქვეშ იცავენ თავიანთ პურის უფლებას, დეკაზვილის ქვანახშირის აუზის მთელი მშრომელი მოსახლეობა იღებს მონაწილეობას ამ ბრძოლაში. დიდი დემონსტრაცია გაიმართა გუშინ ნაშუადღევს დეკაზვილის ცენტრში. 5 ათასი კაცი უმთავრესად ახალგაზრდობა, წარმოთქვამდა ლოზუნგებს: „ჩვენ მხარს ვუჭერთ იმათ ბრძოლას, ვინც შახტებშია“, „სამუშაო!“, „ნუ ხურავთ შახტებს!“.

ქალიშვილები და ჭაბუკები მღეროდნენ „მარსელიოზსა“ და „ინტერნაციონალს“, ხოლო ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული დეკაზვილის მცხოვრებნი მეუხარე ტაშით უპასუხებდნენ მათ...

ამავე დროს გაიმართა ავერონის დეპარტამენტის (სადაც დეკაზვილია) მერების საგანგებო კრება. კრებაზე გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ მთავრობა სრულიად უმიზეზოდ უმუშევრად ტოვებს ორი ათასამდე მეშახტეს. სახელმწიფო ექსპერტებმაც კი აღიარეს, რომ შახტების „არარენტაბელობა“ მოგონილია. „არ შეიძლება, რომ ისინი, ვის გამგებლობაშიც ვიმყოფებით,—ნათქვამია კრების რეზოლუციაში, — განაგებდნენ ათასობით ადამიანის ბედს ისე, რომ ამას არავინ უწევდეს რაიმე დემოკრატიულ კონტროლს“. ავერონის დეპარტამენტის 307 მერი გადადგა 1 იანვრიდან მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უარი თქვეს იქონიონ ურთიერთობა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებთან მანამდე, სანამ მთავრობა არ დაიწყებს მოლაპარაკებას მეშახტეების წარმომადგენლებთან.

მშრომელი საფრანგეთი სოლიდარობას უცხადებს დეკაზვილის მებრძოლ მეშახტეებს. შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მატერიალური დახმარება გაუწია მათ ოჯახებს ნახევარი მილიონი ძველი ფრანკის ოდენობით. ერთს დეპარტამენტის ქვანახშირის აუზის მაღაროელებმა გაფიცულთა დახმარების ფონდისათვის შეაგროვეს 255 ათასი ძველი ფრანკი. მაღაროელთა სამი პროფკავშირის დელეგაცია ჩავიდა დეკაზვილის შახტებში, რათა მისალმებოდნენ გაფიცულებს.

უკანასკნელი ცნობა დეკაზვილიდან: მეშახტეები განაგრძობენ ბრძოლას.

ტელეგრაფი გვაცნობინებს

კრიზისი გრძელდება

ბონი, 1 იანვარი. (საკდესი). გასულ 1961 წელს დასავლეთ გერმანიის ქვანახშირის მრეწველობაში გრძელდებოდა გასაღების გაბიანურებული კრიზისი. მეწარმეებმა წარმოების „რაციონალიზაციის“ სახებით დახურეს მთელი რიგი ქვანახშირის შახტები, რათა ხელოვნურად შეემცირებინათ ქვანახშირის ამოღება. შედეგად განხორციელდა მაღაროელთა მასობრივი დათხოვნა, ან მათი გადაყვანა შემცირებულ სამუშაო კვირაზე. თუ 1958 წელს, წერს გაზეთი „ველტ დერ არბაიტი“, დასავლეთ გერმანიის ქვანახშირის მრეწველობაში დასაქმებული იყო 545 ათასი მუშა, 1961 წლის ბოლოსთვის მათი რიცხვი 418 ათასამდე შემცირდა. გაუყიდავი ქვანახშირისა და კოქსის მარაგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქვანახშირის საწარმოებში 1960 წლის 11 მილიონი ტონიდან 1961 წლის დასმლევისათვის გადიდდა 12,5 მილიონ ტონამდე. 1962 წელს მოსალოდნელია ამ მარაგის შემდგომი ზრდა. ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების უმაღლესი ორგანოს მონაცემებით, დასავლეთ გერმანიის ქვანახშირის გასაღების შესაძლებლობანი 1962 წელს კიდევ 5,5 მილიონი ტონით შემცირდება.

ფასები იზრდება

პარიზი, 1 იანვარი. (საკდესი). ახალი 1962 წელი ფრანგებისათვის დაიწყო კვების პროდუქტების ფასების ახალი გადიდებით.

სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემებით, საახალწლო დღესასწაულის წინ მნიშვნელოვნად გადიდდა კარაქისა და რძის სხვა პროდუქტების, ბოსტნეულისა და ხილის, სულ კვების ოცდაოთხი სახეობის პროდუქტის ფასები.

„გაპოტრების შედეგი“

პარიზი, 1 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნებულია მისი მთავარი რედაქტორის რენე ანდრიეს მოწინავე სტატია, რომელიც აანალიზებს, თუ რა შედეგები მოუტანა საფრანგეთს გასულმა, 1961 წელმა. „გაკოტრების შედეგი“ — ასეთი სიტყვებით აღსანიშნავს სტატიის ავტორი განვლილი წლის შედეგებს და აღნიშნავს, რომ მთავრობის მომხრე კომენტატორებიც კი ვერ მალავენ თავიანთ დანანებულობას იმ „თვითმაყოფილების“ წინაშე, რომელიც ცხადყოფოთი და ტელევიზიით საფრანგეთის საზელმწიფოს მეთაურმა.

საფრანგეთის მთავრობის მოქმედება და მის მიერ მიღწეული შედეგები, რ. ანდრიეს აზრით, ვერ ამართლებენ გამოხატულ ოპტიმიზმს. გენერალმა დე გოლმა ვერ გადაჭრა საფრანგეთის წინაშე წამოყენებული ვერცერთი მწვავე პრობლემა.

ალჟირში გრძელდება სისხლისმღვრელი კოლონიური ომი.

ეკონომიური თვალსაზრისით 1961 წელი მხოლოდ უდიდესი კაპიტალისტური კომპანიებისათვის იყო ოქროს წელი, მაშინ როცა მშრომელები — მუშები, მოსამსახურეები, მასწავლებლები და გლეხები შეუბოვრად იბრძოდნენ თავიანთი ეკონომიური მოთხოვნებისათვის.

საგარეო პოლიტიკის დარგში გენერალი დე გოლი ნატოს ანტისაბჭოთა პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სულისჩამდგმელი იყო, რითაც დადასტურა თავისი მტრობა განიარაღებისადმი.

საოჯახო წერილი

პარიზი, 2 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა საახალწლო წერილით მიმართა არმიას. წერილში გენერალი დე გოლი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების წინაშე აყენებს ორ ამოცანას 1962 წელს: განაგრძონ „დაშოშმინება“ ალჟირში, ესე იგი ჩაახშონ ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და „უმთავრესად მოემზადონ ევროპაში სამხედრო ხასიათის დიდი მოქმედებისათვის“, რომელიც თითქოს „შეიძლება თავს მოაბეზოონ“ საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს.

კომენტარს უკეთებს რა საფრანგეთის პრეზიდენტის ამ საოჯახო წერილს, გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი მხოლოდ ადასტურებს დე გოლის პოლიტიკის საშიშ ხასიათს.

გაზეთი „ლიბერასიონი“ აღნიშნავს, რომ დე გოლი აქვეს ომის საფრთხობელას, რათა გადამაბოლოს უარის თქმა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების შესახებ. „ამრიგად, მომენტში, როცა ყველა აღიარებს, რომ გადადებულია საკითხა ყველაფერი გადაკეთოთ, რომ ბოლო მოეღოს „ცივ ომს“,— წერს გაზეთი, — მომენტში, როცა ყველაზე გონებაშეზღუდულ ადამიანებს შეგნებული აქვთ, რომ ომი გარდუვალად გადაიქცევა თერმოატომურ ომად და რომ იგი კატასტროფას მოუტანს მთელ კაცობრიობას, გენერალი დე გოლი მზად არის დათანხმდეს ყველაზე უარესს შესაძლო პერსპექტივათა შორის...“

მეცნიერთა მეგობრობა

მირნი, საკდესის სპეციალური კორესპონდენტი იური ხრომოვი, რომელიც ანტარქტიდაში — ჩავიდა პირველ საბჭოთა საჰაერო ექსპედიციასთან ერთად, რადიოთი გვატყობინებს:

თანამშრომლობა და ურთიერთგაგება — ეს სიტყვები ძლიერ გავრცელებული მეექვსე კონტინენტზე.

ფილიპ სმიტმა, ანტარქტიდაში ამერიკის მეცნიერული კვლევის პროგრამის ხელმძღვანელმა, საუბარში განაცხადა: სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერთა შორის აქ კარგი და მტკიცე კავშირურთიერთობა დამყარდა. თანამშრომლობის კეთილი სულისკვეთება ვლინდებოდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პერიოდში და ამჟამადაც ვლინდება.

მაკ-მერდოში გამოსაზამთრებლად დარჩა საბჭოთა ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილე გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი პაველ ოსტაპენკო. იგი სწრაფად შეეგუა ამერიკის სადგურის მუშაობის საქმიან რიტმს.

— მე კარგი კონტაქტი დავამყარე ამერიკელ კოლეგებთან და დარწმუნებული ვარ, რომ მაკ-მერდოში ჩემი ყოფნა ნაყოფიერი იქნება.

ჩვენ ვესაუბრეთ აგრეთვე ერთ-ერთ ამერიკელს ორიდან, რომლებიც მირნიში იმყოფებიან. ეს იყო სტრანფორდის (კალიფორნია) უნივერსიტეტის სტუდენტი, 23 წლის გილმორ სტიუარტი, რომელიც უკვე ერთი წელიწადია იმყოფება საბჭოთა ობსერვატორიაში. როცა იგი მირნიში მოვიდა, სიტყვაც არ იცოდა რუსულად. ახლა კი ჩვენ რუსულ ენაზე ვისაუბრეთ.

ანტარქტიდაში ჩამოსვლის შემდეგ ჩვენი ექსპედიციის წევრები იყვნენ აგრეთვე ახალი ზელანდიის სკოტის სადგურში, სადგურის უფროსმა არტურ რობერტსმა საბჭოთა პოლარელებთან საუბარში თქვა:

— მტკიცეა მეცნიერთა მეგობრობა ანტარქტიდაში. რაც უფრო მეტი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას ამ კონტინენტის შესწავლაში, მით უფრო გაიწმინდება ნდობის ატმოსფერო, რომელიც სჭირდებათ სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს.

პორტუგალიელ პატრიოტთა აჯანყება

პარიზი, 1 იანვარი. (საკდესი). პორტუგალიელ პატრიოტთა ჯგუფმა აჯანყება მოახდინა ქალაქ ბეჟაში (სამხრეთი პორტუგალია). როგორც ფრანს პრესის საააგენტო იუწყება, აჯანყებულებმა დღეს დილით ხელთ იგდეს ქალაქში განლაგებული სამხედრო ყაზარმები; პატრიოტებს ხელმძღვანელობდა სალაზარის რეჟიმის ოპოზიციის ერთ-ერთი მოღვაწე კაპიტანი ვარელა გომესი. სალაზარის ხელისუფლებმა დღის განმავლობაში ქალაქთან თავი მოუყარეს დიდძალ მაშველ ძალებს. პორტუგალიის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ახლა „მთავრობის ჯარები მტკიცე კონტროლს უწევენ ქალაქ ბეჟას მდგომარეობას“ და ჩაახშეს აჯანყება.

თავისუფლების გზაზე

ბირმის ეროვნული განთავისუფლების XIV წლისთავის გამო

1962 წლის 4 იანვარს ბირმის ხალხები აღნიშნავენ თავიანთი ეროვნული განთავისუფლების XIV წლისთავს. ხალხის მასების თავგანწირული ბრძოლის შედეგად ბირმამ დაამსხვრია საძულველი ინგლისის კოლონიური რეჟიმი და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ძველი ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბირმა შეუდგა კოლონიალიზმის ძმიმე შედეგების ლიკვიდაციას, კოლონიალიზმისა, რომელმაც ღრმა დადი დაარღვია ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეს. შეუდგა ეროვნული ეკონომიკის შექმნას. მაგრამ ბირმის მიერ განვითარების დამოუკიდებელი გზის არჩევამ გაბოროტება გამოიწვია იმპერიალისტთა ბანაკში. ბირმის სახელმწიფოს აღდგენის პირველ დღიდანვე ისინი სამხედრო, ეკონომიურ და პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენენ ბირმაზე და უშუალო პროვოკაციებსაც კი არ ერიდებიან ამ ქვეყნის წინააღმდეგ. მაგალითად, 1949 წლიდან დღემდე ამერიკის მხეარიონის მფარველობით გრძელდება გომინდანელთა ბანდების ყაჩაღობა ბირმის ტერიტორიაზე, რომლებიც განდევნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებიდან.

მიუხედავად ამისა, ახალი ბირმის ხალხებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სუვერენული განვითარების გზაზე და მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მეოხებით ბევრი მეგობარი შეიძინეს მთელ მსოფლიოში. ბირმის მთავრობის სამეურნეო პოლიტიკას საფუძველად უდევს მისწრაფება შექმნას ეკონომიური მტკიცე სახელმწიფო, განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა შექმნას ეროვნული მრეწველობა და ტრანსპორტი, განავითაროს სოფლის მეურნეობა და ირიგაცია, კულტურა და განათლება.

ეროვნული მრეწველობის შექმნისა და ეკონომიკის აღმავლობის ამოცანას ბირმაში წყვეტენ იმ გზით, რომ ახორციელებენ უცხოეთის მონოპოლიების დიდმნიშვნელოვან საწარმოთა ნაციონალიზაციას მათთვის კომპენსაციის გადახდით. ინგლისის კომპანიების რეორგანიზაციას ინგლის-ბირმის ერთობლივ საწარმოებად, ქვნან ახალ სახელმწიფო საწარმოებს და უშუალოდ დახმარებას უწევენ ეროვნულ კაპიტალს. სახელმწიფოს ხელში გადაეცა ნაოსნობა, რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მთელი რიგი ელექტროსადგურები. ამჟამად ინგლის-ბირმის ოთხ კომპანია არსებითად კონტროლს უწევს მადნის მოპოვებას, ნავთობის ამოღებასა და გაწმენდას. ამრიგად, ბირმის მინერალური რესურსების დამუშავებას ამჟამად ახორციელებენ შერეული კომპანიები ბირმის კაპიტალის მონაწილეობით. ეს იწვევს ინგლისის კაპიტალის გავლენის შეზღუდვას სამთამოპოვებიის მრეწველობაში და ბირმის ბუნეულეულის პოზიციის გაფართოებას.

რათა ხელი შეუწყოს ეროვნული კაპიტალის განვითარებას და განთავისუფლდეს უცხოეთზე ეკონომიური დამოკიდებულებისაგან, ბირმის მთავრობა ახორციელებს ბირმელ მრეწველთათვის დახმარების გაწევის პოლიტიკას — აძლევს მათ კრედიტებს და სხვადასხვა ფინანსურ შეღავათს, ამარაგებს ნედლეულით და მოწყობილობით საფასურის განვადებით და სხვ. ამ მიზნით შექმნილია სახელმწიფო კომერციული ბანკი, რომელსაც აქვს ფილიალები პერიფერიაში. მეწარმეებს სესხებს აძლევს „აგრეთვე სამოეწველო განვითარების კორპორაცია.

სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სისტემაში ეკონომიკის დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო კაპიტალისტური სექტორის შექმნასა და გაფართოებას. იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულ ბურჟუაზიას არ მოეპოვება საკმარი სახსრები, მთავრობამ იკისრა შექმნას მრავალი საწარმო. დამოუკიდებლობის წლებში ბირმაში აშენდა მთელი რიგი საწარმოები სახელმწიფოს სახსრებით, მათ შორის ბირმის მეტალურგიის პირმშო — ფოლადსადგლნავი ქარხანა, სამი საფეიქრო ფაბრიკა, ფარმაცევტული ქარხანა, გოგირდმჟავას ქარხანა, ორი შაქრის ქარხანა და სხვა საწარმოები. მშენებლობის პროცესშია ჰიდროსადგური მდინარე ბალუზე, რომლის პირველი რიგი გადაეცა საექსპლოატაციოდ, რომელნიმე თანამედროვე ბრინჯის ქარხანა და ხე-ტყის საბერნი ქარხანა, საფეიქრო ფაბრიკები და სხვა ობიექტები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას მნიშვნელოვან წილად უწყობს ხელს ახალი აგრარული კანონმდებლობა, რომლის ცენტრშია 1953 წლის კანონი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. ეს კანონი ითვალისწინებს მსხვილ მემამულეთა 19,9 მილიონი აკრი დასამუშავებელი ნათესი ფართობიდან 6,2 მილიონი აკრი მიწის ნაციონალიზაციას გამოყიდვის პირობით.

დამოუკიდებელი ბირმის ეკონომიკა, მიუხედავად სიძნელეებისა, ვითარდება და შესამჩნევი წარმატებები მოიპოვა. 1959-60 წლებში ბირმამ პირველად ომისშემდგომ წლებში გადაამეტა მთელიანი პროდუქტის წარმოების ომამდელ დონეს 7 პროცენტით (ღირებულებითი გამოხატულებით), თუმცა ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ეს დონე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

ბირმაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საგარეო ვაჭრობის დარგში და კრედიტებისა და ფინანსების სფეროში. მთავრობამ სახელმწიფო მონოპოლია დაწესა ბრინჯისა და ტეკტონის მერქნის გატანაზე. (ბრინჯის ექსპორტისაგან მიღებული მოგება სახელმწიფოს მთელი შემოსავლის ნახევარზე მეტს შეადგენს). ბირმის საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა ბრინჯის გატანისა და კაპიტალური მოწყობილობის შემოტანის ზრდის გამო წლითიწლობით დიდდება. თანდათანობით იცვლება ბირმის იმპორტის სტრუქტურა, რომელშიც მცირდება მოხმარების საქონლის წილი და იზრდება მანქანებისა და მოწყობილობის ხვედრითი წონა. კრედიტისა და ფინანსების სფეროში მთელი რიგი სახელმწიფო ბანკების — კომერციული, სასოფლო-სამეურნეო და კოოპერაციული ბანკების შექმნის შედეგად მტკიცდება ეროვნული კაპიტალის პოზიციები.



ბირმა. სურათზე: მეთევზეთა ნავმისადგომი მდინარე ხინდვინზე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამ საშუალება მოსცა ბირმას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გამოსულიყო საერთაშორისო ასპარეზზე. მისი საგარეო პოლიტიკა ნაკარნახევია ამ ქვეყნის საარსებო ეროვნული ინტერესებით და შესაბამება მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ამ მიზანს. მიაჩნია რა აგრესიული სამხედრო დაჯგუფებანი საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთ მიზეზად, ბირმამ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო სეატოში და გადაჭრით დაგმო კოლონიზატორთა ეს სამხედრო ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ბირმა აქტიურად მონაწილეობს ყველა წამოწყებაში, რომელთა მიზანია აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება. ცნობილია, რომ ბირმა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის ერთ-ერთი ინიციატორია და აქტიურად მონაწილეობდა ბლოკკუმშამრობელი ქვეყნების ბელგრადის კონფერენციაში. ახლანდელ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში ბირმა მტკიცედ მოითხოვს სადავო საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას, საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირის წინადადების მიღებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღმოსავლეთის სახელმწიფოთა შორის სულ უფრო მძლავრად გაისმის დამოუკიდებელი ბირმის ხმა, რომელიც გმობს იმპერიალისტური წრეების პროვოკაციულ პოლიტიკასა და ყველა ფორმის კოლონიალიზმს და მოითხოვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობა. ბირმის პრემიერ-მინისტრის უ ნუს სახელმწიფო ეგზეკუტივა საბჭოთა კავშირში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტმა — ბირმაში დაადასტურეს საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხების ურყევი მისწრაფება მშვიდობისა და თანამშრომლობისადმი. იზრდება და მტკიცდება ბირმისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. ასეთი თანამშრომლობის მაგალითია ის, რომ საბჭოთა კავშირისა და ბირმის ორგანიზაციებმა ბირმაში დაამთავრეს ტექნოლოგიური ინსტიტუტის, ჰოსპიტლისა და სასტუდიოს მშენებლობა, რომლებიც ბირმას გადაეცა 1961 წელს. საბჭოთა ადამიანები ბირმის დამოუკიდებლობის XIV წლისთავზე მიესალმებიან ამ ქვეყნის ხალხის მიერ მოპოვებულ დიდმნიშვნელოვან წარმატებებს სამშობლოს გარდაქმნის საქმეში.

ა. კაუფმანი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

სოციალისტური ქვეყნებში

ამუშავდა ახალი დანადგარი

დლითიდლე სულ უფრო მძლავრი ხდება უნგრეთის ინდუსტრია. ამას წინათ მეტალურგიული მრეწველობა შეეივსო ახალი დიდი საწარმოთი. ვადაზე ნახევარი წლით ადრე მწყობრში ჩადგა ახალი ცივადსაგლინავი დანადგარი. იგი თავისი აღჭურვილობით და სიდიდით ყველაზე თანამედროვე და ყველაზე უდიდესია მთელ ცენტრალურ ევროპაში. აქ ყველა საწარმოო პროცესი მთლიანად ავტომატიზებული იქნება.

ზღვებსა და ოკეანეში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათობით დიდი საზღვაო გემი დადის ამჟამად შორეულ ნაოსნობაში. გემები „ლაიფციგი“, „შვერინი“, „ჰალე“, „კარლ-მარქს-შტადტი“, „ბერნრიხ ჰაინე“, „ბერლინი“ და სხვა ამაყად მიაპობენ ტალღებს ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეში. მათ საზღვარგარეთის ქვეყნებში მიაქვთ ავტომანქანები და ელექტრომოწყობილობა, კაბელები და დაზგები, ზუსტი და ოპტიკური ხელსაწყოები, ცემენტი და ქიმიკატები, სპორტული საქონელი და ლუდი, ხოლო უკან მოაქვთ მადანი და ლითონი, მარცვალი და ხე-ტყე, ქურქეული და ქაღალდი, ხილი და თევზი.

შარშან დემოკრატიული გერმანიის ნავსადგურებში ლუზა ჩაუშვა სხვადასხვა ქვეყნის 5.174 გემმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საავჭრო ფლოტის შემადგენლობაში 49 გემი და ტანკერია. 1965 წლისათვის მათი რიცხვი 100 მიაღწევს.

საინტერესო გამოფენა

ამას წინათ ბულგარეთის მეგალეობის ცენტრში — ქალაქ კიუსტენდილში გაიხსნა მეხილეობისა და მევენახეობის პირველი ეროვნული გამოფენა.

გამოფენა სიყვარულით და მაღალი გემოვნებით არის გაფორმებული. ცალკეულ სტენდებზე წარმოდგენილია 12 ოკრუგის, მიწათმოქმედების 17 შრომითი კოოპერატივის, 4 სახელმწიფო მეურნეობის და 2 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, უურძენი, კონსერვები და მურაბები.

* * *

ბულგარეთი. სურათზე: ქალაქ სოფიის ერთი კუთხე.

ახალი წელი — ახალი ამოცანები

ვარშავა, 1 იანვარი. (საკდესი). სახალხო პოლონეთი იწყებს ახალ, 1962 წელს, ხუთწლედის მეორე წელს, გასული წლის დიდი წარმატებების შედეგების შეჯამებით. სამრეწველო წარმოება ხუთწლედის პირველ წელიწადში, წინასწარი მონაცემებით თითქმის 11 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის ძირითად დარგებში, კერძოდ, ენერგეტიკასა და მეტალურგიაში, ქვანახშირისა და ცემენტის მრეწველობაში, დიდი გადაჭარბებით შესრულდა წლიური დავალებანი. მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 1 მილიონი ტონა ქვანახშირი. არანაკლები წარმატებანი მოიპოვეს მეტალურგებმა, ქიმიკოსებმა, ფეიქრებმა.

შარშან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 პროცენტისა შეადგინა 8,4 პროცენტი. ამას იმით აღწევენ, რომ იყენებენ მთელ თავიანთ შესაძლებლობებს, ეყრდნობიან საბჭოთა ხალხთან და ყ

სამშობლოდან შორს, სამშობლოზე ფიქრით

ქართული აზრის ნათელი

ყოველ ახალ წელს სამშობლოს თავისუფლებასა და აღორძინებაზე ფიქრი მოჰქონდა... ასე იყო 1862 წელს, 1762 წელს, ყოველ დროსა და ყოველ საუკუნეში. არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო თუ საკვლევი ინსტიტუტი. ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში ეუფლებოდა ცოდნას...

1862 წელს ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა იმ კეთილ ახალ წელზე, რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებას მოუტანდა საქართველოს, ქართველთა მიწაწყალი კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა ბედნიერი, როცა ცოდნა-განათლებისა და მეცნიერების შუქი მოეფინებოდა, დიდი ცხოვრების გზაზე შემდგარი ქართველი კაცი სხვათაც მიაჩვდენდა თავისი აზრის ნათელს.

1962 წელი ილიასთან ერთად ყველა თავდადებული მამულიშვილის აზდენილი ოცნების წელია... დღეს ჩვენს უნივერსიტეტსა და მრავალ ინსტიტუტში ცოდნას იღებს ევროპის, აზიისა და აფრიკის არაერთი ახალგაზრდა, ხოლო ქართველი სპეციალისტები და მეცნიერები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოღვაწეობენ.

გადავფურცლეთ ძველი „ივერია“, „მოამბე“, — როდის უნდა ეშველოს ჩვენს სოფლის მეურნეობას, როდის ეყოლება საქართველოს თავისი მეცნიერი ხალხი, თავისი აგრონომებიო? დღეს კი რევოლუციური კუბის გაზეთები წერენ ქართველ აგრონომებზე, რომლებიც კუბელი გლეხების დასახმარებლად ჩავიდნენ.

ამ ორმოცდაათი-სამოცი წლის წინათ თბილისის უუნიკულიორის ასაგებად ბელგიელების მოწვევა გახდა საჭირო. დღეს კი ინდოეთში ქებით იხსენიებენ ქართველ ინჟინრებს, რომლებიც სხვებთან ერთად ფუძეს უყრიან ინდოეთის პირველ დიდ მეტალურგიულ ქარხანას.

არაბეთში ერაყსა და ავღანეთში არაერთი გზა გაუყვანიათ და არაერთი კაშხალი აუგიათ ქართველ სპეციალისტებს.

საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არაერთხელ მოუწვევია უცხოელი მხატვარი ქართული წიგნის დასასურათებლად, ან მუსიკოსი ქართული სიმღერების შესაკრებად, დღეს კი ჰანოიში ვიეტნამელი ბავშვები დიდად ემადლიერებიან ქართველ მოქანდაკეს, რომლისგანაც ქვის გაცოცხლებასა და ფერთა სილამაზეს სწავლობენ, ხოლო ამერიკასა და ევროპაში არაერთგზ დიდი სიმფონიური ორკესტრი ასრულებს ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებებს.

სად, რომელ ქვეყანაში არ შეხვდებით ჩვენს თანამემამულეს, კეთილსა და მეოდნეს, რომელიც ქიმიკოსია ან ფიზიკოსი, ბიოლოგი ან ფიზიოლოგი, ისტორიკოსი ან ფილოლოგი! ვერც ყველა ქვეყანას ჩამოთვლის კაცი და ვერც ყველას გვარს დავასახელებთ. ქვეყანაც ბევრია და ისინიც ბევრნი არიან, სამშობლოზე ფიქრით შეხვდნენ ამ ახალ წელსაც კუბის ზურმუხტისფერ მინდვრებში, ინდოეთის მცხუნვარე ცისქვეშ, არაბეთისა და ავღანეთის გზებზე, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის სამეცნიერო ლაბორატორიებში, საფრანგეთის მუზეუმებსა და არქივებში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ორ პატარა წერილს. ერთი ინგლისურ გაზეთ „ივინგ პოსტში“ იყო ამას წინათ დაბეჭდილი, მეორე კი ქართველმა ისტორიკოსმა გამოუგზავნა ჩვენს რედაქციას პარიზიდან...

1961-1962 სასწავლო წელს, საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის კულტურული გაცვლის შესახებ არსებული შეთანხმების თანახმად, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საფრანგეთში მიავლინა 14 მეცნიერი მუშაკი და ასპირანტი, მათ შორის სამი საქართველოდან: თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი თეიმურაზ ნათაძე, უცხოენების ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი მზია ბაქრაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ჩვენი სამეცნიერო მივლინება საფრანგეთში დაახლოებით ერთ წელიწადს გაგრძელდება. ჩამოვედით პარიზში ნოემბრის პირველ რიცხვებში, შევუდექით მუშაობას. დოცენტი თ. ნათაძე ეწევა ექსპერიმენტულ მუშაობას საფრანგეთში კიბოს შესწავლის უდიდეს ცენტრში — გუსტავ რუსის სახელობის ონკოლოგიის ინსტიტუტში და ეცნობა პარიზის სორბონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მუშაობას.

მზია ბაქრაძე, რომელიც მუშაობს საფრანგეთის თანამედროვე ლიტერატურაზე, ესწრება ლექციებს სორბონის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ჰუმანური მეცნიერების ფაკულტეტზე.

ჩემი ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. ვეცნობით საფრანგეთის ცხოვრებას, ხელოვნების ძეგლებს, თეატრს, კინოს, მუზეუმებს, გათვალისწინებული გვაქვს მოგზაურობა საფრანგეთის შიგნით, ქვეყნის უკეთ შესწავლის მიზნით.

ჩვენმა მშობლიურმა პარტიამ და მთავრობამ დიდი ნდობა გამოგვიცხადეს და საშუალება მოგვცეს სამეცნიერო მუშაობას ვეწეოდეთ საფრანგეთში. ჩვენ ვგრძნობთ ასეთი საპატიო დავალების მნიშვნელობას და არ დავზოგავთ ძალღონეს, რომ პირნათლად შევასრულოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა.

ამასთანავე გვინდა მივულოცოთ ქართველ ხალხს ახალი წელი და ვუსურვოთ ახალი და ახალი წარმატებანი.

ი. ტაბალუა,
დოცენტი.

პარიზი, 1961 წლის დეკემბერი.

ლიდსის უნივერსიტეტში ზეპირად წაიკითხა ლექცია საბჭოთა საელჩოს მეორე მდივანმა ნიკო ყიასაშვილმა. ლექცია თავიდან ბოლომდე მომხიბლავი და ღრმა იყო. ქართველმა ფილოლოგმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირში შექსპირის შესწავლის, თარგმნისა და დადგმების შესახებ.

თავის ლექციაში ნ. ყიასაშვილი შეეხო სამ ძირითად საკითხს — შექსპირის თარგმნას ქართულ, რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე, შექსპირის საბჭოურ დადგმებს და საბჭოთა შექსპიროლოგების მუშაობას, ამასთანავე ყიასაშვილმა ხაზი გაუსვა შექსპირის თარგმნის სიძნელეებს, რაც დაკავშირებულია დედანთან სიახლოვისა და მაღალმხატვრულობის პრობლემებთან.

საღამოს, ლექციის შემდეგ, ყიასაშვილს გაუმართეს მიღება და სადილი უნივერსიტეტის საპროფესორო დარბაზში. სადილს დესწრნენ პროფესორი (სერ ჩარლზ მორისი), პროფესორი დარვარდი, დოქტორი ლოუჩი, ბატონი უილიამსონი, აგრეთვე ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები.

ინგლისური გაზეთი „ივინგ პოსტი“.

ეს ორი პატარა წერილი თითქოს ზღვაში წვეთია იმის დასადასტურებლად, რომ დიდი ცხოვრების გზაზე შემდგარმა ქართველმა კაცმა სხვათაც მიაწვდინა თავისი აზრის ნათელი... მაგრამ განა ზღვის ერთი წვეთი მთელ ზღვაზე არ მეტყველებს! განა მზის ერთი სხივი მთელ მზეზე არ ქმნის წარმოდგენას!

„კომუნისტის“ რედაქცია სულით და გულით ულოცავს ახალ წელს სამშობლოს დავალებით ამჟამად ჩვენი ქვეყნის გარეთ მყოფ ყველა ქართველ მეცნიერსა თუ სპეციალისტს და უსურვებს ახალ სიხარულს დედა-სამშობლოს სადიდებელ შრომაში.

მუსიკას სიხარული მოაქვს

კერერის კონცერტებზე

რუდოლფ კერერის გასტროლები მოულოდნელი არ იყო თბილისელებისთვის. მას ადრე, ახალგაზრდობაში კარგად იცნობდნენ. იგი მაშინაც გამოირჩეოდა მკაფიო ინდივიდუალობით, ჭეშმარიტი ნიჭით.

კერერი სწავლობდა ჩვენს მუსიკალურ ნიჭიერთა ათწლედში, შემდეგ კონსერვატორიაში პროფესორ ანა თულაშვილთან. ახალგაზრდა პიანისტი იმდენად მოწიფულად მიიჩნიეს, რომ კონსერვატორიის მეორე კურსიდან პირდაპირ მეოთხეზე გადაიყვანეს.

რამდენიმე წლის განმავლობაში კერერი ასწავლიდა ტაშკენტის კონსერვატორიაში. შემდეგ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ჩაიკოვსკის სახელობის საკავშირო კონკურსზე, მიიღო პირველი ჯილდო. ახლა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგია.

ბუნებრივია, კერერის წინასაახალწლო კონცერტებმა თბილისში უამრავი მსმენელი მიიზიდა.

ორმა კონცერტმა — სიმფონიურმა და სოლურმა სრული შთაბეჭდილება შეგვიქმნა კერერზე.

მის დაკვრაში ყველაზე მომხიბლელია მასშტაბურობა, აზროვნება დიდი ტალღებით. შესანიშნავი პიანისტური აპარატი, ბრწყინვალე ტექნიკა საშუალებას აძლევს პიანისტს არაჩვეულებრივი სიმსუბუქით შეასრულოს საფორტეპიანო ლიტერატურის ურთულესი ნაწარმოებები, პროკოფიევის პატარა პიესა თუ უვერტიურა ვაგნერის ოპერა „ტანჰეიზერისა“.

კერერი განსაკუთრებული სიფაქიზით გრძნობს პროკოფიევის სტილს, გრძნობს მისი მუსიკის სიახლეს და თვითმყოფობას. ვაგნერი ეღერდა მონუმენტურად, ნამდვილი სიმფონიური სიღრმითა და განზოგადებით.

კერერი ძლიერ აკადემიურია, მაგრამ სრულიად არ არის მშრალი. მასშტაბურობა და გაქანება მის დაკვრაში შერწყმულია დიდ სიფაქიზესთან, შინაგან სითბოსა და კეთილშობილებასთან. იშვიათად მოგვისმენია ლისტის „პეტრარკას სონეტის“ ესოდენ პოეტური, „აკვარელური“ შესრულება. კერერისათვის დამახასიათებელია მდიდარი და ფერადოვანი საფორტეპიანო პალიტრა. ხატოვანია მისი ფრაზირება და ნიუანსები. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ბახის ფუგის დაკვრაში, რომელიც ღრმა და გრანდიოზული იყო.

მოლიანად ბრწყინვალედ შესრულებული სოლური კონცერტის პროგრამა თავისთავად ნაკლებად საინტერესო იყო. იგი უმთავრესად საფორტეპიანო ტრანსკრიპციებისაგან შედგებოდა. სამწუხაროა, რომ ასეთმა დიდმა პიანისტმა სოლურ კონცერტზე მსოფლიო საფორტეპიანო ლიტერატურის შედევრები არ შესრულა.

სიმფონიურ ორკესტრთან შესრულებულმა რახმანინოვის მეორე კონცერტმა აღაფრთოვანა მსმენელი მეორე ნაწილის პოეტური ლირიკით და მესამე ნაწილის დიდი არტისტულობით.

ჩვენი მსმენელის ინტერესი კერერისადმი იზრდება. დანარჩენმა ორმა კონცერტმა კიდევ უფრო გაიღრმავა ჩვენი შთაბეჭდილება.

მირა ფიჩხაძე.

* * *

სურათზე: რუდოლფ კერერი.

„ოქროს კაცი გეწვის ხიდზე“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი, 1962 წლის წინადღეებში მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა კიტა ბუაჩიძის პიესა „ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე“, რომელიც თანამედროვეობის თემაზეა დაწერილი.

სპექტაკლს დადგმა განახორციელეს განსვენებულმა რეჟისორმა თ. კანდინაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა პ. კობახიძემ და ა. კვანტალიანმა. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნით მხატვრებს დ. ნოდიას და თ. სამსონაძეს. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა რ. ლაღიძემ.

სურათებზე: (ზემოდან) ი. ნეტო, ვ. ივანოვი, მ. მესხი, ვ. პონედელნიკი და ვ. ვორონინი.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲠᲝ ᲜᲐᲫᲕᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

მოსულან, ირგვლივ შემოგხვეოდნ შენი მოტრფიალე ბავშვები, მშვენიერო ნაძვისხეო!

ლამაზი ხარ, თუმცა სილამაზე არასოდეს არ გაკლდა, მარადმწვანე გუშაგად იდექ იქ, სადაც პირველად გაიდგი ჩვენი ფესვები მშობლიურ მიწაში.

შენც ხომ პატარა იყავი, ჩემო ნაძვისხეო! მოიწონეთ და ჩამოგიტანეს თბილისში ჩვენი მზიური დედაქალაქის შესამკობად, დასამშვენებლად. შენ მარტო არა ხარ, ბევრი გყავს თანატოლი, უმცროსი და უფროსიც ამ ფირუზოვანი ცის ქვეშ.

გაიხარე, გაიზარდე, თანდათანობით აიყარე ტანი, და მართლა თვალწარმტაცი, მომხიბლავი გახდი.

ყველას უყვარხარ — დიდსა და ნორჩსაც. მოვა ზაფხული, და შენს ჩეროში ისვენებენ, დგებიან და საუბრობენ გოგონები, ყმაწვილები...

მწვანე ხარ და მუდამ გაზაფხულს გვაგონებ, ჩემო მშვენიერო ნაძვისხეო! ახლა, როცა ფოთლოვან ხეებს ზამთარმა გახადა მწვანე სამოსი, შენ მაინც სიმწვანით კიაფობ — ბაღში ხარ თუ ხეივანში, ქუჩაში თუ გზაში.

წელიწადის ყველა დროს ლამაზი ხარ, ნაძვისხეო, მაგრამ ახლა, ახალწლის ამ სასიხარულო დღეებში, შენს მშვენებას და სიტურფეს ვერაფერი შეედრება, ბავშვის ფაქიზი ოცნების მეტი. შენ გხატავენ, პატარძალივით გამკობენ და ტკბილი სიმღერით გიგალობენ გარს შენი გულსპეტაკი მეგობრები.

სადღაც თოვლი ბარდნის, ჰაერში ბრუნავს ქათქათა ფანტელი. ბავშვებს უყვართ თოვლი, გუნდაობა, და შენც არ დაგივიწყეს, ბამბის ფთილებით შეგიმოსეს ტოტები, ვითომდა სხვა სიხარულთან ერთად თოვლიც მოგიტანა ხვავ-ბარაქით მოსულმა სტუმარმა, სალხინოდ მოსულმა ახალმა წელმა.

სინათლეც არ გაკლდა, ჩემო მშვენიერო ნაძვისხეო! მწვანე იყავ ზამთარზაფხულ და ნაირფერი სანთლებიც ჩამოგკიდეს, სათამაშოებიც უხვად დაგილაგეს ტოტებზე, რომ ღამითაც ინათო და იბრჭყვიალო, დიდებულო ნაძვისხეო!

თოვლის პაპამაც გაგიხსენა, მოვიდა შენთან ახალწლის მოსალოცად. ჯერ ბევრი იხუმრა, იცეკვა ბავშვებთან ერთად, ნორჩებს დაუბედა წარმატებით სწავლა, ჩამოარიგა ტკბილეული და ნაძვისხის ძირას მოიკალათა ზღაპრის მოსაყოლად.

განა სათქმელი დაელევა თოვლის პაპას! არა. იგი მრავალ ჭირვარამ გამოვლილია და ისე ლამაზად ყვება ყველაფერს, რომ გინდა სულ უსმინო და უსმინო კეთილად დამლოცველ ბერიკაცს. სცივა ბოხუცს, მაგრამ ბავშვების სიყვარული ათბობს.

არა, ნორჩებს არ მოაწყენს ახალწლის ნაცადი მეკვლე. მოვიდა, რომ ბედნიერება ახაროს ჩვენი სიცოცხლის ყვავილებს, რომელთა წინაშეა ნათელი, კაშკაშა, ბრწყინვალე მომავალი. ისინი ხომ კომუნიზმში იცხოვრებენ!

თოვლის პაპამ იცის, რომ ახლა არდადეგებია, ჯსეულ ათასობით ბავშვი ისვენებს, რომ მხიარულად გაატაროს საახალწლო დღეები. იგი ახლა ყველგან დადის, ყველა სკოლაში, ყველა ბაღში შეიხედავს, მოულოდნელად გამოცხადდება ბედნიერი ახალწლის მოსალოცად და გულუხვად დაარიგებს ყოველივე კარგს.

საახალწლო ნაძვისხეო! რამდენი წიწვი ახლა შენს გამლილ ტოტებს ასია, იმდენ წელიწადს ახარე და ასიამტკბილი ჩვენი სამშობლოს ბედნიერი ბავშვები...

ვ. ᲟᲣᲠᲣᲚᲘ.

* * *

სურათზე: საახალწლო ნაძვისხე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე 1962 წელს პირველი გასტროლიორები იქნებიან ბელგრადის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის პრემიერები პრიმა-ბალერინა **დუშანკა სიფნიოსი** და მისი პარტნიორი **ჟარკო პრებილი.** იუგოსლაველი მოცეკვავეები ხშირად მოგზაურობენ ევროპის თეატრების სცენაზე და დიდი მოწონებით სარგებლობენ. 10 იანვარს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ისინი გამოვლენ ა. ადანის ბალეტ „ჟიზელში“. დუშანკა სიფნიოსი შეასრულებს ჟიზელის პარტიას, ხოლო ჟარკო პრებილი გრაფ ალბერტის პარტიას. ახლა მსახიობები გამოდიან საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე.

ცამეტი იანვრიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გასტროლებს დაიწყებს ცნობილი რუმინელი მომღერალი, ვოკალისტთა სახელმწიფო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ბუქარესტის საოპერო თეატრის პრემიერი **იონ პისო (ტენორი).** თბილისელი მაყურებელი კარგად იცნობს რუმინელ მომღერალს. იგი ორჯერ — 1957 და 1961 წლებში გამოდიოდა ჩვენი მაყურებლის წინაშე და დიდი მოწონებით სარგებლობდა. იან პისო იმღერებს ჰერცოგის პარტიას „რიგოლეტოში“, კავარადოსის — „ტოსკაში“, აგრეთვე გამოვა სხვა ოპერებშიც.

რედაქტორი
დ. მჟელლიშვილი.

3 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ექიმი აიბოლიტი (დღისით), ჩიოჩიო-სან (საღამოს, მე-15 აბონ. მე-5 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ზღვის შვილები (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — აფროდიტეს კუნძული (დღისით), ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — სახიფათო ასაკი (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჯაზომანია (დღისით), ორი ქალაშვილი (საღამოს), **სანკულტურის** — ჩვენი ერთი საღამო.

ტელევიზია: 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ნაძვისხის ზეიმზე“, 18.40 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი — „გზა საცხია შემთხვევითობით“, 20.00 — საუბარი — „კომუნიზმი და კაცობრიობის პროგრესი“, 20.15 — კონნარკვეი, 20.45 — გადაცემა — „რა სიახლენი გვექნება წელს“, 21.05 — ახალი ამბები, 21.20 — მხატვრული ფილმი „სანაპირო განთიადისას“.

ფურცლები წარსულიდან

სუსხიან ღამით...

ტ. ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐ.

* * *

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ მშვენიერია მშობლიური გმირის, თავისი სამშობლოს ერთგული პატრიოტის სახე. ჩვენს ხალხს უყვარს თავისი გმირები და სამოდამოდ ინახავს მათს სახელებს. მართლაც, რაოდენ მიმზიდველი, საინტერესოა გმირის პიროვნება მაშინაც კი, როცა თვით გმირობის ჩადენის დრო სიძველით თითქოს ფერმკრთალდება. მისი სახე ამით კიდევ უფრო მშვენიერი ხდება, როგორც დიდი ოსტატის ძველი სურათი, რომელიც სათუთად დაცულია მუზეუმის დარბაზებში. ქართველ ხალხს ცოტა როდი შემოუნახავს თავისი შვილების გმირობის ამბები, თუნდაც რუს ხალხთან თანამეგობრობისა და ურთიერთდახმარების უკანასკნელი ორი ასეული წლის მანძილზე. ქართველ გმირ მეომართა ბევრი დიდებული სახელი იცის რუსეთის არმიის სამხედრო ისტორიამ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი რამ ჯერ კიდევ უცნობია. ჩვენი მოვალეობაა, ჩვენი ამოცანაა აღვრიცხოთ ჩვენამდე მოწეული ფაქტები, დავიცვათ ისინი და გავაცნოთ ხალხს.

სწორედ ასეთი ფაქტი გახლავთ ამ ნარკვევის თემა.

1914-1916 წლების პირველ მსოფლიო ომამდე ამეკამად ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში ცხოვრობდა გერსამიას ოჯახი. ამ ოჯახში დაიბადა მომავალი გმირი, გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვრის კავალერი ტროფიმე სიმონის-ძე გერსამია.

1911 წელს იგი გაწვეულ იქნა როგორც ჯარისკაცი ნამდვილ სამხედრო სამსახურში და გაიგზავნა ჰუსართა მე-10 ინგერმანლანდის პოლკში. დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ გერსამია არ დაუთხოვნიათ არმიიდან. რადგან **1914** წელს დაიწყო ომი გერმანიასთან, ჰუსართა პოლკი გადაყვანილ იქნა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე ავსტრიელების წინააღმდეგ. ფრონტის მთელ უზარმაზარ ხაზზე მაშინ ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. ავსტრიელები, რომლებსაც გერმანელები ეხმარებოდნენ, ცდილობდნენ რადაც უნდა დასჭიდომოდათ წამოწეულიყვნენ წინ. ყოველ ჩვენს სამხედრო ნაწილს სამუშაო აუარებელი ჰქონდა, მით უმეტეს ცხენოსან ნაწილებს.

ნოემბრის ცივ ღამეს ჰუსართა მეათე პოლკიდან გაიგზავნა მზვერავი ცხენოსანი რაზმი. მის შემადგენლობაში იყო ტროფიმე გერსამიაც, რომელიც მაშინ ეფრეიტორი იყო. ჩვენი ნაწილები ამ უბანზე ამზადებდნენ „მუშტს“ შეტევაზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ კონტრდარტყმის მოსაწყობად და ამიტომ ჰუსართა პოლკის გაგზავნილ დაზვერვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რაზმს მოქმედება მოუუხდა ტყიან ადგილას ქარბუქში, და იგი შემთხვევით წააწყდა ავსტრიელთა შორს წამოწეულ სანგარს. მოწინააღმდეგემ ტყვიამფრქვევისა და თოფის ძლიერი სროლა აუტეხა მზვერავ რაზმს და, რუსების შედარებით მცირერიცხოვანი ცხენოსანი ჯგუფი რომ შეამჩნია, სანგრიდან წამოიშალა, შეეცადა ტყვედ ჩაეგდო მზვერავები. ოფიცერი—მზვერავი რაზმის მეთაური მაშინვე მოკლულ იქნა, რამაც დაბნეულობა გამოიწვია. მაშინ ეფრეიტორი გერსამია სათავეში ჩაუდგა ჯგუფს და ვაშას ძახილით ხმალდახმალ ეკვეთა მოწინააღმდეგეს. გაჩაღდა უთანასწორო ხელჩართული ბრძოლა. გერსამიას ცხენი დაუჭრეს და მას მოუხდა ქვეითად მარტო ხმლით მოეგერიებინა ორი ზარმა ავსტრიელი ჯარისკაცი, რომლებიც მას ხიშტებით უტევდნენ. გერსამია ძძიმედ დაიჭრა თეძოში, მაგრამ მტრებმა მაინც ვერ დაძლიეს. მან მარჯვედ აიცდინა დარტყმები და ორივე ავსტრიელი მოკლა. მთელი მისი ცხენოსანი ჯგუფი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდან, ტყვედ წამოიყვანა ოცდაშვიდი ავსტრიელი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი. რაზმმა თავისი შემადგენლობის თითქმის ნახევარი დაკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით, მაგრამ მაინც დაბრუნდა თავისიანებთან.

ბრძოლის დროს მოსაზრებულობის, სიმტკიცისა და პირადი მამაცობის გამოჩენისათვის გერსამია დაჯილდოებულ იქნა გიორგის ჯვრით.

1914 წლიდან **1915** წლის აგვისტომდე გერსამიამ სხვადასხვა საგმირო საქმეებისათვის მიიღო გიორგის ოთხივე ჯვარი — ორი ოქროსი და ორი ვერცხლისა, აგრეთვე რუმინული ჯვარი „მამაცობისათვის“, ამასთან მას მიენიჭა პოდპრაპორშჩიკის ხარისხი და დაინიშნა ოცეულის უნტერ-ოფიცრის თანამდებობაზე.

სამწუხაროდ, პოლკის საქმეებში აღარ აღმოჩნდა ცნობები, თუ სახელდობრ რა საგმირო საქმეებისათვის მიენიჭა ეფრეიტორ გერსამიას ესოდენ მაღალი ჯილდო. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი გმირობა მართლაც განსაკუთრებული იყო.

1917 წელს ტროფიმე გერსამია სახელმოხვეჭილი დაბრუნდა სამშობლო სოფელ ახუთში. საქართველოში მეფშევიკების ბატონობის პერიოდში მან კიდევ ერთი კეთილშობილური საქმე გააკეთა — დიდხანს მალავდა თავისთან ყირიმის არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრს ალექსანდრე პტიშკინს, გადაარჩინა იგი მენშევიკურ საპყრობილეებს და, შესაძლოა, სიკვდილსაც.

ტროფიმე სიმონის-ძე გერსამია **1942** წელს გარდაცვალა. მას დარჩა ორი ვაჟი — ამირანი და თენგიზი. უნდა ვიფიქროთ, რომ თავიანთ მომავალში მათ მუდამ მაგალითად ექნებათ გმირი მამის სახე და ეცდებიან ყოველთვის წაბაძონ მას — სამხედრო საქმეში თუ მშვიდობიან შრომაში.

მ. ᲕᲐᲓᲒᲝᲚᲡᲙᲘ.

ᲣᲐᲘᲛᲘ ᲐᲡᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲕᲚᲐᲖᲔ

ჰასტინგსის ტურნირი საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრშია. შეჯიბრებისადმი ესოდენ დიდი ინტერესი პირველ რიგში გამოწვეულია ტურნირში მსოფლიო ჩემპიონის მ. ბოტვინიკის მონაწილეობით, რომელიც დაუმარცხებლად ებრძვის.

დღემდე გათამაშებულ პარტიებიდან საერთო მოწონება დაიმსახურა ბოტვინიკისა და ჰასტინგსის გასულ ტურნირში გამარჯვებულ გროსმაისტერ გლიგორიჩის (იუგოსლავია) ორთაბრძოლამ.

როგორც ვიუწყებოდით ეს პარტია გადაიდო, მაგრამ იგი არც გადადებული პარტიების დამთავრების დღეს აღმოჩნდა შედეგიანი და კვლავ გადაიდო. ორივე გროსმაისტერი პარტიის დამთავრების მეორე დღესაც განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას... და ბოლოს მესამეჯერ 104-ე სვლაზე ყაიმით დაკმაყოფილდა.

მეხუთე ტურში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა. ეს იყო ფლორისა და ბისჰაიერის პარტია, სადაც ფიქსირებულ იქნა ყაიმი. დანარჩენი პარტიები გადადიდო. ინგლისელ ბარდენთან გადადებულ პარტიაში ბოტვინიკს მოსაგები პოზიცია აქვს.

გადადებული პარტიების დამთავრებამ გათამაშების ცხრილში გარკვეული სიცხადე შეიტანა. წარმატებით იბრძოდა ბოტვინიკი ბარდენთან გადადებულ პარტიაში და აქტივში მორიგი ქულა ჩაიწერა.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის სათავეში კვლავ ბოტვინიკი მოექცა. მას 5 შესაძლებლიდან 4,5 ქულა აქვს. მეორე და მესამე ადგილებს იყოფენ გროსმაისტერები ფლორი და ბისჰაიერი, რომლებსაც სამნახევარ-სამნახევარი ქულა აქვთ.

ᲩᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲭᲠᲐᲥᲖᲔ

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲣᲛᲑᲐ

ახალი წლის წინა დღით გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატების „ფუტბოლის“ რედაქციამ მიიღო სამხრეთამერიკელ ჟურნალისტთა ინტერვიუ ბრაზილიის ხუთ ცნობილ ფეხბურთელთან — დიდისთან, გარინჩასთან, ზაგალოსთან, ნ. სანტოსთან და პელესთან.

ჟურნალისტებმა ამ ფეხბურთელებს ასეთი კითხვებით მიმართეს: 1. განზრახული აქვთ თუ არა ბრაზილიელებს დაიცვან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული? 2. ვინ არის ბრაზილიის ნაკრებისათვის ყველაზე საშიში მეტოქე 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში? 3. მსოფლიოში რომელ საკლუბო გუნდს თვლით ახლა ყველაზე ძლიერად? 4. ამჟამად ვინ არის ყველაზე გამორჩენილი ფეხბურთელი?

„ფუტბოლის“ რედაქციამ ანალოგიური ინტერვიუ მოაწყო სსრ კავშირის ნაკრების ხუთ წევრთან — ი. ნეტოსთან, ვ. ივანოვთან, მ. მესხთან, ვ. პონედელნიკთან, ვ. ვორონინთან.

ი. ნეტო მსოფლიოს ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად თვლის ბრაზილიის ნაკრებს, რომელსაც გამარჯვების ყველაზე მეტი პოტენციური შესაძლებლობა აქვს, რადგან ამ ქვეყანას ფეხბურთის ტალანტების შერჩევის განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს. მისი აზრით, სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მეტოქეები სამხრეთამერიკელები — ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის გუნდები იქნებიან, ხოლო ევროპიდან — ინგლისისა და იტალიის გუნდები. ი. ნეტო მსოფლიოში უძლიერეს საკლუბო გუნდად თვლის ურუგვაის „პენიაროლს“, ხოლო გამორჩენილ ფეხბურთელად — იტალიელ სივორისა და ბრაზილიელ პელეს.

ვ. ივანოვს მიაჩნია, რომ ყველაზე სერიოზული შანსი მსოფლიოს ჩემპიონობაზე ბრაზილიისა და არგენტინის გუნდებს აქვთ. მაგრამ იგი არ გამორიცხავს სსრ კავშირის ნაკრების წარმატებას, რომელსაც ერთ-ერთი საპრიზო ადგილის პრეტენზია აქვს. ვ. ივანოვის აზრით, ყველა ფინალისტი საშიშია, მაგრამ მთავარ მოწინააღმდეგეებად მას მაინც ბრაზილია და არგენტინა მიაჩნია. უძლიერესი საკლუბო გუნდის დასახელებისაგან იგი თავს იკავებს ხოლო მსოფლიოს გამორჩენილ ფეხბურთელად ასახელებს პელეს.

მ. მესხი დასმულ კითხვებზე ასეთ პასუხს იძლევა: პირველობის მთავარი პრეტენდენტები არიან ბრაზილიის, ურუგვაის, არგენტინის, ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. მაგრამ მათ შორის გამარჯვების დაფნის გვირგვინს ალბათ ბრაზილიელები მიიღებენ. სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მეტოქე იქნება ბრაზილიის გუნდი, დანარჩენ სამხრეთამერიკულ გუნდებს ჩვენ უპირვეყნიცნობთ. ყველაზე ძლიერი საკლუბო გუნდები ინგლისს ჰყავს. მათ შორის მინდა დავასახელო „ტოტენჰემ ჰოტსპური“. რაც შეეხება ფეხბურთელებს, მათ შორის პირველ რიგში ვაყენებ პელეს.

ვ. პონედელნიკი ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებად ასახელებს ბრაზილიის, არგენტინისა და ინგლისის გუნდებს. მაგრამ იგი არც სსრ კავშირის ნაკრებს ივიწყებს. ჩვენი ნაკრების ძირითად მოწინააღმდეგედ ჰონედელნიკი თვლის ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ნაკრებებს. უძლიერეს საკლუბო გუნდად მიაჩნია „სანტოსი“ (ბრაზილია), გამორჩენილ ფე